გაზეთი ზევრის, „ვერსიის" ერთი

ვერსია

ფასი 40 თეთრი

№139 (895) 30 დეკემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

გილოცავთ!

შობა ახალ წელს

ნაახალწლევს ღარიბაშვილი მთავრობას დაითხოვს?!

რომელი მინისტრი შეინარჩუნებს სავარძელს გვ. 3

2014 წლის კალენდარი

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

სევდია უგრეხელიძე

„ყველა ყოფილი ნაციონალი, რომელმაც უგულავას წინააღმდეგ ჩვენება მისცა, თავადაა დამნაშავე!“ გვ. 5

გარემოს დაცვის სამინისტროს ახალი გზამკვლევი – საფრთხე ინვესტორებისთვის?!

ვინ მიიყვანა მაია რჩეულიშვილის დეიდაშვილი თვითმკვლელობამდე

დიტო ბელოვანი

ინდაურები ცხენში

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

2014 – ხის ლურჯი ცხენის წელი გვ. 13

დიტო გელოვანი

„...ამრიგად, ისინი დანათესავდნენ, ვინსენტე შეიცვალა ანტონიოს მიმართ, უუფრო თავაზიანი და მეგობრული გახდა, ბუნებით მოყვარული ანტონიო კი სულ დადნა მის ასეთ საქციელზე და ყველანი მოწმეები ვართ, რა მშვენივრად არიან ახლა ისინი, როგორ დაახლოვდნენ, ერთად სვამენ, ქეიფობენ, ქაღალდს მხოლოდ გასართობად თამაშობენ, გროშებზე კი არა... აი, რა შეუძლია უნებურ, მისჯილ ახლობლობასა და სიყვარულს, თუმცა, ეს უნებური სიყვარული ვერ მივა, ვერა, საყოველთაო, გაბატონებულ სიყვარულთან, ვერ მივა, ჩემო ძვიირფასო ადამიანებო, და მათ ერთმანეთს გაუღვივეს ყოველივე კარგი თვისება, სულ დათმობაზე მიდიან... — და ალექსანდრო ისევ შეიცვალა — ეს ყველაფერი, დავუშვათ, ძლიერ კარგია, მაგრამ ახლა მე გეკითხებით...“

(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)

ინდაურები ცხენში



შენ ჩამოგწერეს იმ ღამით მერი...

„რამდენიც უნდა დაიჭიროთ, ნაციონალურ მოძრაობას ვერ გაანადგურებთ“, – ეს სიტყვები გოკა გაბაშვილს ეკუთვნის. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც გოკა გაბაშვილი მართალს ამბობს. ვეთანხმები – რამდენიც უნდა დავიჭიროთ, ნაციონალურ მოძრაობას მაინც ვერ გავანადგურებთ. დაგითვლიათ, რამდენი კოღო, ბუზი, ვირთხა და ტარაკანა ნადგურდება ყოველწლიურად? მილიარდობით! მაგრამ მაინც არიან. ბავშვი არ ვარ, მათი საბოლოო განადგურების იმედი მქონდეს, ეს შორეულ 1986 წელს იყო, რომ მეგონა, გაივლიდა რამდენიმე წელი და კომკავშირლები აღარ იარსებებდნენ. კომკავშირი აღარ არის, მაგრამ „ექსპო ჯორჯიაში“ შეკრებილები მხოლოდ გარეგნულად არიან კრაკაძილები, თორემ მაგათში კომკავშირს რა მოკლავს? ჰოდა, ალბათ ამიტომაც თქვა მიხეილ ს-მ ეს სიტყვები: „იმ ხალხმა, ვინც ძალიან ჩქარობს, კარგად იცის ერთი რამ, რომ 2014 წელს მათ შანსი არ ექნებათ. მეტსაც გეტყვით, 2013 წლის ბოლოსაც არ აქვთ მათ შანსი“.

ჰოდა, აი, მოვიდა კიდეც 2013 წლის ბოლო და შეგვიძლია, შედეგები შევაჯამოთ, ვისაუბროთ შანსებზე — ვის რა შანსი აქვს, რისი შანსი აქვს, ისედაც, რა უნდა და ვის დაკარგვია. ყველაფერს ვერ გაიხსენებ, ვის ახსოვს ყველაფერი? ხან რა წამოტივტივდება თავში და ხან რა, მაგრამ თავსაც ხომ გააჩნია? ზომა-წონის ამბავია, თორემ ერთი და იგივე ჯიშის თავისგან ხალადეციც კეთდება და მორთულ-მოკაზმულს და პირში ბოლოკგაჩრილს თამადასაც მიართმევენ ხოლმე.

ღორო, მომე ჯაგარი...

არა მგონია, დღევანდელი წერილი რომ ნიუსებით დავტვირთო, მაგრამ წინა კვირაში ერთი ისეთი ამოვიკითხე, რომ ლამის მთელი წელი შეკრიბა და შეაჯამა, ზოგს საფიქრალი გაუჩინა, ზოგი დაამძიმა და ზოგსაც საქილიკო მისცე — „ენდე, ეგეც თქვენ!“ აი, ამნიუსის ნაგლეჯები:

„ოფიციალური დოკუმენტაციის მიხედვით, 6 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, უშიშროების საბჭომ მის ბალანსზე არსებული 2010 წლის „ტოიოტა ლანდ კრუიზერი“, რომლის ღირებულებაც 35 ათას შვიდასი ლარი იყო, ჩანაცვლდა ახალი „ტოიოტა ლანდ კრუიზერით“ — მისი ღირებულება 78 ათასი 241 ლარია. შეძენილი იქნა პლანშეტური კომპიუტერი რომლის ღირებულებაც არის 1499 ლარი. ამას გარდა, ირინე იმერლიშვილის აპარატმა შეიძინა iphone 5S, რომლის ღირებულებაც არის 1749 ლარი და კომპიუტერის ჩასადები ჩანთა, რომლის ღირებულებაც 335 ლარია. როგორც იმერლიშვილი განმარტავს, მათ, როგორც საიდუმლო დოკუმენტაციაზე მომუშავე უწყებას, „მაღალი დაცულობის მქონე ტექნიკა“ სჭირდებათ. ამასთან, როგორც იმერლიშვილი ამბობს, ავტომობილის ჩასანაცვლებლად ბიუჯეტიდან დამატებით, 42 ათასი ლარის გამოყოფა გახდა საჭირო. „არაფრის დამატება არ მომხდარა, ჩანაცვლდა ერთი ავტომანქანა მეორეთი. დიახ, იყო ძველი მანქანა. უშიშროების საბჭოს მდივანს ემსახურებოდა საკმაოდ მოძველებული, რამდენიმე წლის მანქანა, სადაც დაცვის წარმომადგენლებს მთელი რიგი პროცედურები ჰქონდათ ჩატარებული. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეს არაა პირადი, ეს არის უშიშროების საბჭოს მდივნის საკუთრება. არ მინდა დეტალებში ჩაძიება, მაგრამ ბოკერიას მანქანა იყო გაჟღენთილი სიგარეტის სუნით“.

მეც, თქვენს მონა მორჩილს, არ მინდა დეტალებში ჩაძიება, მაგრამ ამ ქვეყანაშიც არის მთელი რიგი პროცედურები ჩატარებული (23 წელია, რაც ტარდება), ეს ქვეყანაც სიგარეტის (ოღონდ — იაფფასიანი სიგარეტის) სუნით არის გაჟღენთილი და კიდევ — უმუშევრობით, უიმედობით, სიღარიბით... რომ აღარაფერი ვთქვა ნაჩალიჩარ არაყზე, დიმედროლიან ღვინოზე, ჩხირებიან სოსისზე და ტუალეტისქაღალდიან ძეხვზე. ეს ქვეყანა არის ჩვენი საკუთრება, მაგრამ არჩევანი ყოველთვის არსებობს, ზოგი დარჩება და რაღაცის გამოსწორებას შეეცდება, ზოგიც ქვეყანას გამოიცვლის. მართალია, ამ მარკის სხვა ქვეყანა არ არსებობს (სხვა საქართველო სად არის?), მაგრამ ზოგს ისე ეიოლება მანქანების გამოცვლა, რომ არც სამშობლოს გამოცვლაზე იტყვის უარს.

სიგარეტის სუნით იყო გაჟღენთილიო... მოძველებული მანქანით სარგებლობდაო... ლამის იყო, ბოკერიასადმი კინაღამ სიმპათიით განვეწყე. მოფიქრება არ გინდა? გაფიქრება არ გინდა? და თქმა? ეგეთებს, საერთოდ, ქათმებს ვუწოდებ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ინდაურთან უნდა გვქონდეს საქმე.

ხელისუფლებაში (თან, ცხენის წელი მოდის) ინდაურებს ვერ მოვითმენთ! ეგეთი ინდაური არც საცივში მინდა და, საერთოდ, ჯიპების თემა აჭარაში დაიწყო. ბერიძე, ხომ? ეგეთი ხალადეცი ყელში არ გადავა.

2013 წელი პრემიების თემით სრულდება. კი, იყო უგულავას ამბები, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გარემოებებზე მიმდინარე გამოძიების გააქტიურება, ვილნიუსის სამიტი, საზმაუს ბორდი და სხვებიც, მაგრამ პრემიები, პრემიები... მანამდე — პარლამენტი, ახლახან — თბილისის საკრებულო, გუშინ — გურჯაანის გამგეობა, ხვალ... ყველა ერთს ამბობს, ყველა იმეორებს: „დღედაღამ ვმუშაობთ. გვეკუთვნის“. უკვე 23 წელია, ამ ქვეყანაში ჩინოვნიკები სულ დღედაღამ მუშაობენ, თავს არ ზოგავენ და ბოლოს, ისე გამოდის, ქვეყანა არ იზოგება. ვიღაც ვადაგასულ ძეხვზე ოცნებობს, ვიღაცისთვის კი ოთხი წლის მანქანაა ვადაგასული, სულ იოლად იხდენს საკუთარ, წლების განმავლობაში ნალოლიავებ ქართულ ოცნებას და... ოთხი წლის მანქანას ოთხი დღის მანქანით ცვლის.

ასეთი ცოდნით, ასეთი ფიქრით, ასეთი ოცნებით ჩვენ ვერ გავფრინდებით. არადა, უფსკრულის პირას ვართ და თუ არ გავფრინდებით, მაშინ უნდა გადავიჩეხოთ.

მთელი წლის განმავლობაში ხალხიდან, საზოგადოებიდან მხოლოდ ერთი ისმოდა — აღადგინეთ სამართლიანობა. როგორ უნდა აღდგეს ის, რაც არასოდეს ყოფილა? აღსრულდეს სამართალი — ალბათ, ასე სჯობს თქმა, რადგან თუ არ არის სამართალი, არ იქნება მშვიდობა, სამართალი კი ის არის, პურს რომ მეპურე აცხობს და დამნაშავე ციხეში რომ ზის.

ჯერჯერობით, პურს ისევ ხაბაზი აცხობს. კობა ხაბაზი რომ არის, გოიმი... ხომ გახსოვთ? ეგ აცხობს პურს და სანახაობასაც ეგ უკვეთავს.

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები — ეს არის ერთადერთი წამალი, თორემ ის, რაც დღეს ხდება, მხოლოდ საწამლავია.

მაგრამ — არაო! ვადამდელი არჩევნების ხსენებაც კი ზარავთ. ნაცების ამბავში გასაგებია — დედა აღარ ეყოლებათ, მაგრამ ოცნება? ოცნებას კაცი არ მოუკლავს, მაგრამ ჩართავ ტელევიზორს და გულზე სკდები. იტყვის რამეს ნაცი, მოიყვანს სტატისტიკას, დაასახელებს ფაქტებს, წავა-წამოვა, მიედ-მოედება, ტყუილსა და მართალს ერთმანეთში აურევს და რა? რას პასუხობს ქოცი? „თქვენ რა გაქვთ სალაპარაკო? მაშინ ამოგეღოთ ხმა! ხომ არ დაგავიწყდათ?“ — პასუხობს ქოცი და ორივეს აწყობს ის, რაც ხდება, ზამთარში თბილად, ზაფხულში გრილად. ხანდახან დასცხებენ ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ, როცა პრემიებზე მიდგა საქმე, ეგეთი კონსენსუსი მხოლოდ ერთხელ მახსოვს — როცა დამოუკიდებლობის აღდგენაზე რეფერენდუმი ჩატარდა.

ეს წელიც ასე გადავაგორეთ — ჯირყვნამიჯირყვნაში, ჩმორებსა და ბლატნოებში, ფარული ჩანაწერების განადგურება-არგანადგურებაში, ფირებსა და პარაფირებში. მთელი წელი პანაშვიდებსა და გასვენებებში დავდიოდი, ბევრი წავიდა, ოცნება ოცნებად დარჩა... მეოცნებეები პრაგმატიკოსებად გადაიქცნენ, მშვენივრად მოერგნენ ყვითელი ჟურნალების ყდებს, გასართობი გადაცემების სტუდიებს, ვიგინდარა ვანოს ღლიცინა შოუებს. ეს ელიტაა. ელიტა უკვდავია. კომკავშირია უკვდავი.

რამდენიმე დღის წინ, მოსაღამოვებულზე გავიარე პეკინის გამზირზე და უზარმაზარ ბილბორდს მოვკარი თვალი — ბერას ტელევიზია, ჯიდიესი, მალე შემოგვთავაზებს ახალ შოუს სახელწოდებით „ერთი ერთზე“, რომლის ერთ-ერთი წამყვანი და ავტორი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, აქტივისტი მაინც იქნება დავით გომართელი (თვალი მოვკარი-მეთქი და, მგონი, არ შევცდი, ნამდვილად გომართელი იყო) — მამა აფრიკა.

ეგრეა — დრო გადის, ჩვენ კი კვლავ ერთი ერთზე ვართ კომკავშირთან. ამჯერად, იმ კომკავშირთან, „გულის სიღრმეში ყოველთვის „ქართულ ოცნებას“ რომ თანაუგრძნობდნენ.

ყვარყვარე ხომ გახსოვთ? მაგას რა დაგვავიწყებს! რომც გვინდოდეს, მაინც არ მოგვცემენ მაგის დავიწყების საშუალებას — „2006 წლიდან ნაცებს ვებრძვი“, „2007-დან ოპოზიციაში ვარ“, „ჯერ კიდევ 2008-ში მივხვდი, ნაცები რასაც წარმოადგენდნენ“... „მე რომ 2012-ში ბიძინას გვერდით დავუდექი, სად იყავი მაშინ შენ?“

ჰოოო... კადრები ნამდვილად ყველაფერს წყვეტენ და ჟლეტენ კიდეც. ისეთებს დანიშნავენ ხოლმე, ისეთებს დააწინაურებენ, ისეთებს ჩაიხუტებენ და აქებენ, გული გაგისკდება კაცს და მერე ვამბობთ, ოცნებას კაცი არ მოუკლავსო. იმისი არ იყოს, ერთ გურულს ცოლი რომ მოუკვდება და მეორე გურული ეკითხება — რით მოკვდაო და იმან — გრიპითო და ამან — გრიპი, მაი არაფერიო. დაამშვიდა.

ვერაფერი გამიგია, თუმცა ხანდახან, ერთი რამით ვიმშვიდებ თავს — ბიძოს იმედი მაქვს, თუ დაიწყო, ბოლომდე მიიყვანს საქმეს. მაშინაც, პირველ ოქტომბრამდე, არ მომწონდა რაღაც-რაღაცები, მაგრამ ფაქტია, საქმე გააკეთა, უსისხლოდ მოაშორა ხელისუფლებას ისინი, ვისაც სისხლი სწყუროდა, მაგრამ ახლა სამართლიანობა გვწყურია, გვეჩქარება. მოჩქარეს მოუგვიანდესო, მაგრამ როცა უფსკრულის პირას დგახარ და წონასწორობას გაჭირვებით იმაგრებ... ცოტაც და, დაკარგავ წონასწორობას, დაერევი — მე ვარ ეგრე და ბევრი ჩემს გარშემო.

ხანდახან გულში გამკრავს ხოლმე — იქნება და, ჯერ კიდევ ის არის, ჟამი ქვათა შეკრებისა, ანუ ნიღბების ჩამოხსნისა და გამოაშკარავებისა, ცხვრის ტყავიდან მგლის გამოძრომისა ანუ შეცნობისა?

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატთა შერჩევის კომისია თუ რაღაც ოხრობა გავიხსენოთ. ამხელა კომისიაში ორად-ორი წესიერი ადამიანი იყო — თამაზ ჯოლოგუა და ზაზა შათირიშვილი. შედეგიც ისეთი დადგა, როგორიც უნდა დამდგარიყო. მაგ საქმეს ჩაშლის პირი უჩანს და აჰა — ხმაშეწყობილად, უნისონში აყროყინდნენ ნაცები და გნაცები, რუსთავი ორები და ენჯეოშნიკები, ათასი ჯურის უსაქმური და ვიგინდარა... და იქნებ, იმ კომისიის ისეთი შემადგენლობით დაკომპლექტების მიზანიც სწორედ ის იყო, რომ ყველას დაენახა, ვინ ვინ არის ანუ ვინ არის ის „ჰუ“, ნაცებს ბანს რომ აძლევს.

ფარცხალაძის ამბავშიც (რომელსაც სულაც არ ვიცავ), როგორ ერთბაშად აღმოჩნდა, რომ ნაცებს დიდი ხნის წინ სცოდნიათ ყველაფერი, მაგრამ ხმას არ იღებდნენ. სცოდნია ზოგ ჟურნალისტს და ზოგ არასამთავრობოს, რომლებიც გასუსულები იყვნენ და რას ელოდებოდნენ? სკანდალს!

ახლაც ელიან რაღაცას... რას? — მაგასაც გეტყვით. ორი-სამი კვირის წინ ახალი შს მინისტრი გამომცემლებს, რედაქტორებსა და პროდიუსერებს შეხვდა. საინტერესო საუბარი იყო — კითხვა-პასუხი. მეტ-ნაკლებად, პასუხი ყველა კითხვას გაეცა, თუმცა იყო ერთი, სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა კუთხით დასმული კითხვა, რომელსაც პასუხი არ გაეცა და ვერც გაეცემოდა — „რა მოხდება 2014 წლის 17 მაისს?“.

2013 წლის დეკემბერში ვის შეიძლება აინტერესებდეს ის, თუ რა მოხდება 2014 წლის მაისში? გავითვალისწინოთ, რომ ივნისში არჩევნებია.

ამ არჩევნებით უნდა დასრულდეს ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში; ის, რაც ხდებოდა გასულ წელს; ის, რაც ხდებოდა ბოლო ათი წელი.

რაღაცები ვიბოდიალე, აბა, მთელ წელს რა გაიხსენებდა?

ს.ბ.მ. (სხვაც ბევრი მახსოვს) „...ამ ჩვენ ვინსენტეს თავისი ცხოვრების თანამგზავრად რომ არ ამოერჩია მშვენიერი ჯულია, ახლაც ხომ ისევ ძაღლი-კატასავით იქნებოდნენ? ხომ ვარ სწორი, ვინსენტე?“ „კბილებს ამოგამტვრევ...“ „დაწყნარდი ვინსენტე, დაწყნარდი, ხომ იცი — გიჟია“ — დაამშვიდა ანტონიომ. „კბილებზე გამახსენდა, — გაახსენდა ალექსანდროს...“

(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)

ნაახალწლევს ღარიბაშვილი მთავრობას დაითხოვს?!

რომელი მინისტრი შეინარჩუნებს სავარძელს

გიორგი გიორგაძე

ვერ ვიტყვით, რომ მთავარი პროკურორის გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა და ტუსაღ ვანო მერაბიშვილის სკანდალურმა განცხადებამ ხელისუფლება კუთხეში მიაყენა, მაგრამ არავინ უარყოფს, რომ „ოცნებას“ პიარპრობლემები აქვს. ალბათ, სწორედ ამიტომაც პრემიერის საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი გადააყენეს — დეპარტამენტს, დროებით, მაკო ბიგვავა უხელმძღვანელებს, კოკა ყანდიაშვილი კი, ჯერჯერობით, მთავრობის პიარკონსულტანტი იქნება, თუმცა თუ კულუარებიდან გამოჟონილ ხმას დავუჯერებთ, ყანდიაშვილს, ამიერიდან, არავინ აღარაფერს ჰკითხავს. ისე, ჩვენთვის რომ ვთქვათ, გადაყენება კი არა, საინტერესო ის უფროა, კოკა ყანდიაშვილს პიარი, თავის დროზე, რატომ ჩააბარეს, მაგრამ წასულებზე, როგორც წესი, კარგს ან არაფერს ამბობენ...

საერთოდ, მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკიდან საზოგადოებრივ სექტორში გადაინაცვლა, მმართველ გუნდში რაღაცები თვალშისაცემად შეიცვალა. ასე, მაგალითად, სამართლიანობის აღდგენის კუთხით, უფრო ხისტი ნაბიჯები იდგმება.

როგორც „ვერსიას“ კულუარებში ეუბნებიან, სამართლიანობის შეფერხების მთავარი ფაქტორი, არც მეტი, არც ნაკლები, თურმე, მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი იყო. სხვათა შორის, ჯერ კიდევ 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების დასრულების შემდეგ ითქვა, რომ ნაცვლიშვილი „ოცნების“ გამარჯვებას საკუთარი სტრატეგიით ხსნიდა ანუ ივანიშვილს, თურმე, არწმუნებდა, რა ციხის კადრები, მე რომ არ ვყოფილიყავი, ნაციონალები პარლამენტში ისევ უმრავლესობით დარჩებოდნენო და მას კვერს, კულუარული ვერსიით, გია ხუხაშვილიც უკრავდა.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ნაცვლიშვილ-ხუხაშვილის ტანდემი „ბორტსმილმა“ აღმოჩნდა, მეტიც, მედიაში აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ მთავარ პროკურატურაში საქმეა აღძრული. „ვერსიის“ კონფიდენციალური წყაროები კი არ გამორიცხავენ, ნაახალწლევს ნაცვლიშვილი დაიჭირონ.

მართლა არის თუ არა ან, კონკრეტულად, რა საქმეზეა ნაცვლიშვილის წინააღმდეგ საქმე აღძრული, უცნობია, მაგრამ ყოფილ რესპუბლიკელზე, რომელიც 2011 წლის გაზაფხულის მოვლენების დროს ირაკლი ოქრუაშვილთან მეგობრობაში იყო შემჩნეული, პირველი უსიამოვნო ხმები „ოცნების“ კულუარებში ერთი წლის წინ გავრცელდა. ითქვა ისიც, თითქოს მან კოალიციის საარჩევნო ფული არამიზნობრივად გამოიყენა.

თუ ეს ვარაუდი გამართლდა, შეიძლება, ვინმემ თქვას, „ოცნებელები“ ერთმანეთს დაერივნენო, მაგრამ მედალს, როგორც წესი, მეორე მხარეც აქვს: თუ კონკრეტული პიროვნება რამეს დააშავებს ან შეცდება, ცხადია, პასუხი უნდა აგოს — პრემიერი ღარიბაშვილი, როგორც ჩანს, სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობს, რაც, ბუნებრივია, ცუდი არ არის.

2013 წელი პოლიტიკური კულუარებისთვის არცთუ უინტერესო იყო. ამ მხრივ, განსაკუთრებით თვალშისაცემი ის გარემოება გახლდათ, რომ ადამიანები, რომლებიც, პირდაპირ თუ ირიბად, ნაციონალებთან ფარულ, რბილად რომ ვთქვათ, მეგობრობაში დაადანაშაულეს, „ოცნების“ მმართველ ელიტას უმტკივნეულოდ ჩამოაცილეს. მაგალითისთვის, ზაქარია ქუცნაშვილის გახსენებაც შეიძლება... სხვათა შორის, მაშინ, როცა სააკაშვილმა მოქალაქეობა ჩამოართვა, ივანიშვილის ინტერესებს სწორედ ქუცნაშვილი იცავდა. თავდაპირველად, როგორც „ვერსიას“ უთხრეს, დაცვის სხვა სტრატეგია არსებობდა, მაგრამ ეს სტრატეგია, თურმე, ქუცნაშვილისა და კბილაშვილის დაჟინებული მოთხოვნით შეიცვალა, რაც საბოლოოდ, იმით დამთავრდა, რომ მომავალმა პრემიერმა საქართველოს მოქალაქეობა ვერ დაიბრუნა.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის მიერ პრემიერად ირაკლი ღარიბაშვილის დატოვებას, როგორც ანალიტიკოსთა ნაწილი ამბობს, ეს საუკეთესო გამოსავალი იყო:

ჯერ ერთი, ივანიშვილი ღარიბაშვილს შვილივით ენდობა. მეორეც, მილიარდერს ცალკეულ, ვთქვათ მინისტრებთან, შესაძლოა, ისეთი ურთიერთობა ჰქონდა, რომ მათი თანამდებობიდან გაშვება უხერხულობას შეუქმნიდა. ამბობენ, ღარიბაშვილი პრინციპულია, ივანიშვილის აზრს პატივს სცემს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, დამოუკიდებლად მოქმედებსო.

დამოუკიდებელი გადაწყვეტილებაა თუ ყველაფერი ივანიშვილთანაა შეთანხმებული, ძნელი სათქმელია, მაგრამ როგორც კულუარებიდან გამოჟონა, 2014 წლის თებერვალში, მაქსიმუმ, მარტის ბოლოს, პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი მთავრობას გადააყენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მინისტრთა ახალ კაბინეტში ერთი ძველი სახეც ვერ მოხვდება.

სხვათა შორის, ამბობენ, რომ ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, ირაკლი ალასანიამ და თეა წულუკიანმა პოსტები იმიტომ შეინარჩუნეს, რომ ღარიბაშვილმა ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებს ანგარიში გაუწია.

ბოლო დღეებია, იუსტიციის მინისტრი არ ჩანს, ამბობენ, რომ თეა წულუკიანი შვებულებაშია და, რჩეულთან ერთად, ევროპაში ისვენებს.

ისე, ამ გაგანია წინასაახალწლოდ რა დროს შვებულებაა?

ამასთან, უცნაურია, რომ წულუკიანის შვებულება მთავარი პროკურორის გარშემო აგორებულ სკანდალს დაემთხვა. სხვათა შორის, წულუკიანმა თავის დროზე თქვა, მთავარ პროკურორად პრემიერმა ოთარ ფარცხალაძე რომ წარადგინა, მედიით გავიგეო. მერე, ვანო მერაბიშვილის მიერ გაკეთებული განცხადების შეფასებისას, აღნიშნა, რომ ტუსაღის ნათქვამის, მინიმუმ, შემოწმება უნდა მომხდარიყო. ამის შემდეგ კი, უცებ, შვებულებაში „გაქუსლა“, თან მთავარი პროკურორის შესახებ გერმანიის სასამართლოდან ცნობების გამოთხოვის უფლება, თურმე, მხოლოდ თავად ყაჩაღურ ქურდობაში ეჭვმიტანილსა და იუსტიციის მინისტრს აქვთ.

ესე იგი, წულუკიანი ვითარებას გაერიდა? — ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონისა“ არ იყოს, პოლიტიკას რას გაუგებ...

იმას ვამბობდით, რომ ნაახალწლევს ირაკლი ღარიბაშვილი მთავრობას დაითხოვს და სავარძელს ვერც ერთი მოქმედი მინისტრი ვერ შეინარჩუნებს. ცალკეული ჩინოვნიკები, როგორც კულუარებში ამბობენ, ცდილობენ, ახალ მთავრობაშიც მოხვდნენ, მაგრამ ინფორმატორების ვერსიით, ყველა ასეთი მცდელობა კრახისთვისაა განწირული.

ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელ ახალ გზატკეცილს ჭაბუა ამირეჯიბის სახელი მიენიჭა

შესაბამისი დადგენილება თბილისის საკრებულომ მიიღო. დადგენილების დამტკიცებისას საკრებულოს წევრმა ჯაბა სამუშიამ დედაქალაქის მთავრობას მიმართა თხოვნით, უზრუნველყოს ასევე ჭაბუა ამირეჯიბის მემორიალური დაფის განთავსება.

თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, სახელი შეეცვალა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ბაღს, რომელსაც აქამდე პირველი რესპუბლიკის სახელი ეწოდებოდა, თუმცა ახლა საკრებულოს გადაწყვეტილებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელი ერქმევა.

სახელწოდებებთან დაკავშირებით, თბილისში კიდევ ერთი ცვლილებაა. საკრებულოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ჩუღურეთის რაიონში, წყაროს ქუჩასთან არსებულ ჩიხს წყაროს სახელი მიენიჭა.

„ინტერპრესნიუსი“

კუბო ვიქტორ იანუკოვიჩისთვის

კიევში, ევროინტეგრაციის მომხრეებმა პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის რეზიდენციასთან კუბო მიიტანეს. როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, ათასამდე აქტივისტი აქციას იანუკოვიჩის რეზიდენციასთან ახლოს მართავს. აქციის მონაწილეების განცხადებით, კუბო არსებული მთავრობის პოლიტიკურ გარდაცვალებას განასახიერებს.

დემონსტრანტებს, უშუალოდ, პრეზიდენტის რეზიდენციასთან მიახლოება შინაგანი ჯარის წარმომადგენლებმა აუკრძალეს.

სამართალდამცავებმა ცოცხალი ჯაჭვი შეკრეს და ოპოზიციის აქტივისტების ავტობუსებსა და მანქანებს რეზიდენციასთან მიახლოების საშუალება არ მისცეს.

„ინტერპრესნიუსი“

ზუგდიდში 64 წლის ქალი გაძარცვეს

დაზარალებულ ოლგა ტაბვლუიოვას განმარტებით, სახლში სამსახურიდან ბრუნდებოდა, როდესაც თავს უცნობი პირი დაესხა და ბლაგვი საგნით თავის არეში ზიანი მიაყენა.

თავდამსხმელმა დაზარალებულს 3 000 დოლარი და 200 ლარი გასტაცა.

ოლგა ტაბვლუიოვა ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში მუშაობს და ვარაუდობს, რომ ბოროტმოქმედმა მისი სამსახურის შესახებ იცოდა.

„ჯიბიდან გასაღებს ვიღებდი, კარი უნდა გამეღო, უცებ ვიღაცამ ძლიერად ჩამარტყა თავში, ვინ იყო, არ ვიცი. გონი დავკარგე. ამას 1 ადამიანი ალბათ, ვერ გააკეთებდა“, — განაცხადა ოლგა ტაბვლუიოვამ.

მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

„პირველი“

ბიძინა გვა-სევდია-ნებს

რეზო შატაკიშვილი

ფურცელი აღარ შერჩა 2013 წლის კალენდარს. 2013 წარსულს ბარდება. რა მოხდა განვლილ წელს ქვეყნის ცხოვრებაში — უკვე ეს ფიქრები მიტრიალებდა, როცა მერის წინააღმდეგ ბრძოლამ აპოგეას მიაღწია და გიგი უგულავამ საჯაროდ ამხილა ქვეყნის მთავარი პროკურორი — თურმე ნუ იტყვით და, პროკურორად ევროპაში ნაყაჩაღარი კაცი გვყოლია. ატყდა გნიასი, ვაი უშველებელი, ზოგი ქოცთაგანი გიგი უგულავას ცილისწამებაში ადანაშაულებდა, ზოგი უარყოფდა, ზოგი მაინც თადარიგს იჭერდა და ხანდაზმულობის ვადაზე ბოდავდა. ბოლოს, თავად პროკურორმა ფარცხალაძემ აღიარა, რომ, მართლაც, ნასამართლევი იყო გერმანიაში — პოლიციასთან მომივიდა წაკინკლავებაო. ჯობდა, ბოლომდე ეღიარებინა, ამქვეყნად ლურსმული დამწერლობით ნაწერი ტექსტები არ დარჩა გაუშიფრავი და გერმანულ კოდექსში ვერ ჩაიხედავდა ვინმე და ვერ გაარკვევდა, რას ითვალისწინებდა ის მუხლები, რომლითაც იგი გაასამართლეს? ამ ყველაფერს დაემატა მისი უდიპლომობა. დიახ, უდიპლომობა იმიტომ, რომ ჯერ წლებში ჰქონდა გარღვევა — დაბადების წლიდან დაწყებული, ჩაბარებით გაგრძელებული და დამთავრებით დამთავრებული. და რომც დროზე შესულიყო და დროზე დაემთავრებინა, 61-ე სკოლაში გახსნილი უნივერსიტეტის დიპლომი დიპლომია? სწორედ ფარცხალაძის დიპლომმა წრედი შეკრა წულუკიანის დიპლომთან და დამებადა კითხვა — რა დამემართებოდა ამ ხელისუფლების ხელში, მე რომ ქოცი ვყოფილიყავი და არჩევნებში ხმა მათთვის მიმეცა? არა, ხომ შეიძლება, ქოცი ვყოფილიყავი? ჰოდა, გადავწყვიტე, ამ საახალწლოდ, თავი წარმომედგინა ქართული ოცნების მხარდამჭერად და ისე შემეფასებინა განვლილი წელი.

მე რომ მეოცნებე ვყოფილიყავი, რა თქმა უნდა, ვიოცნებებდი სამართლიანობის აღდგენაზე, მაგრამ ჩავთვლიდი კი მარტო ციხეებიდან გამოშვებულ პატიმრებს სამართლიანობის აღდგენად? არა მგონია. რანაირად ვიქნებოდი კმაყოფილი, როცა ამდენს გვპირდებოდნენ — საქმეები გადაიხედებაო, წართმეული დაგიბრუნდებათო, აკი ამ პათოსით იყო დამუხტული წინასაარჩევნო კამპანია, აკი ამასვე ამბობდა ბატონი ბიძინა არჩევნების მეორე დღესვე, სადაა უკან დაბრუნებული? აგერ წლის ბოლოს წულუკიანმა საერთოდ უარი თქვა საქმეების გადახედვაზე, მანამ კბილაშვილი გვაბოლებდა — გადაიხედება, გადაიხედებაო.

კბილაშვილის გამო, მე რომ ქოციონალი ვყოფილიყავი, რიგ დღეებში სახლიდან გარეთ გამოსვლის შემრცხვებოდა... მაშინ, როცა ვაშლისთლის გამო დაიჭირა ბაჩო ახალაია, ვერ უმტკიცებდა წაყენებულ ბრალდებებს და გზადაგზა პამპრესებივით უცვლიდა ბრალს — გაანიორწყლებდა დაცვა და შემდეგ სასამართლო ბრალდებას, ახალს წაუყენებდნენ, გაანიორწყლებდნენ, ახალს წაუყენებდნენ. ბოლოს, ქურდებს რომ დედა უტირა, მარტო ის დაუმტკიცეს, ეგ ხომ უთქვენოდაც ვიცოდით და მაგით ხომ თვითონაც ამაყობდა, მაგას რა დამტკიცება უნდოდა, თქვე მართლა უკბილოებო!

სახლიდან ვერ გავიდოდი ან თუ გავიდოდი, ვასაძის მაღაზიაში მივვარდებოდი, ჭავჭავაძეზე, „სამოსელ პირველში“, ერთ ყაბალახს ვიყიდდი, ისე შევიფუთნებოდი და ისე ვივლიდი, მაგ კბილაშვილმა რომ ბედუკაძე გამოუშვა გარეთ. ჯერ თვითონ დაადანაშაულა წამების ეპიზოდებში და მერე პასუხისმგებლობიდან სრულად გაათავისუფლა. როგორ შემეხედა თვალებში ნაციონალებისთვის, ან მათი მხარდამჭერებისთვის — რაც მე მაგათ ცოცხების გამო დღე ვაყარე, რაც ვლანძღე და შეურაცხყოფა ვაყენე.... როგორ შემეხედა თვალებში? რომც გამებედა და შემეხედა, თვალებს არ ამომკორტნიდნენ, მაგალითად, ქალბატონი მაია ორჯონიკიძე ან ქეთა გაბიანი? რა გამოვიდა, ცოცხები, ცოცხები გვაყვირეს, ქვეყანა დაგვაქცევინეს და მერე? მერე ის, რომ ლიტველმა ექსპერტმა დასკვნა დადო, ცოცხით არავინ იყო გაუპატიურებულიო, მერე თვითონ ბედუკაძემაც ბრძანა, ეგ დადგმული იყო — მასე შეურაცხყოფას ვაყენებდითო... მერე ის რომ კადრებში სწორედ მისი ხმები ისმოდა, გეამა თუ გეტკინაო, თუ რაღაც ამდაგვარი ცოცხობა და რა გამოვიდა? თვითონ დაუდგამთ, თვითონ გადაუღიათ, გავუგიჟებივართ და ახლა გმირადაც გამოგვიცხადეს...

მე რომ მეოცნებე ვყოფილიყავი, ძალიან ცუდ დღეში აღმოვჩნდებოდი მაშინ, როცა საბოლოოდ გაირკვა, რომ წულუკიანი იურისტი არ ყოფილა. აბა, კარგ დღეში რანაირად ვიქნებოდი, რაც მე ნაბლატავები მექნებოდა — მაგარი იუსტიციის მინისტრი გვყავს, სტრასბურგში მუშაობდა, მაგარი იურისტია და რამე მეთქი და გაირკვა, რომ ვაფშემც არ ყოფილა იურისტი. კარგს და ცუდს ვინ ჩივის, ვაფშემც არ ყოფილა! ეს ძლივს მექნებოდა მონელებული, აი ამას კი ვეღარ გადავიტანდი — ფარცხალაძის დიპლომის ამბავს. ნაღდად ტვინში სისხლი ჩამექცეოდა — ეს რა ჭირი გვჭირს, ტო? წულუკიანს, იურისტის თუ არა, დიპლომი მაინც ჰქონდა — აქაურიც, ფრანგულიც. ამას კარლოს დიპლომი აქვს მარტო. ბურატინო ხარ, პაპა კარლოს დიპლომით რომ მეპროკურორები?

და საერთოდ, ვინაა დამნაშავე, ვინც ფირალი პროკურორად დანიშნა თუ თვითონ ფირალი, პროკურორად დანიშვნაზე რომ დათანხმდა? ხანდაზმულობაზე რომ ლაპარაკობთ, იურიდიულ მხარეზე, მორალს საბოლოოდ მოეხნა დედამიწა? რატომ მაგდებთ ნაციონალების ყბაში, ერთი კაცი ვერ იპოვეთ, დიპლომიც რომ ჰქონდეს და ნაყაჩაღარი არ იყოს? დიმიტრი გელოვანს გთხოვთ, მამაძაღლი? ერთი იურისტის შოვნა რა გაგიხდათ, აგერ ნაციონალებს კონა ათ შაურად ჰყავდათ და დღესაც ჰყავთ, ისეთი იურისტი ჰყავდათ, იუსტიციის მინისტრად ბატონ ბიძინას დღესაც ნერწყვი ადგება პირზე.

მე რომ მეოცნებე ვყოფილიყავი, ნამდვილად გატეხილში ვიქნებოდი ინაუგურაციის გამო — დახურულ ეზოში რომ ჩაატარეს და „ზაბორს“ აქეთ დაგვტოვეს. გატეხვას და გაბზარვას ვინ ჩივის, ხო წნევაც მგლიჯავდა, მარგველაშვილის ნაშრომს რომ წავიკითხავდი, სადაც მსუბუქი დებილიზმით დაავადებულად გვიხსენიებდა ერს. მაგასაც იღბალი არ უნდა? აგერ, ნაციონალებსა და მათ მხარდამჭერებს მიშა დღემდე დასძახის, საუკეთესო ნაცია ვართ, რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო, წაგვჭამა ტვინი ტრაბახით და ეს რას გვეძახის — დებილები ხართო?! მერე დადგება ვიღაც შატაკიშვილი და დაწერეს — დიაგნოსტიკაში მაგარი ყოფილა ჩვენი ახალი პრეზიდენტი, მასე რომ არ ყოფილიყო, მაგას ვინ აირჩევდაო და რა უნდა მიმეკომენტარებინა მე? ვერც ვერაფერი.

მაგრად გამიტყდებოდა ჩემი არჩეული ახალი პრეზიდენტი მიშას გამონაცვალი პიარსვლებით რომ დაიწყებდა მოღვაწეობას — სამსახურში ფეხით მივიდაო. მასე მიშა მეტრო-მეტრო დადიოდა, მთავრობასაც ატარებდა ტროლეიბუსით. მერე მანქანებზე გადასხდნენ და ამოვჭამეთ ტვინი — ფულებს ხარჯავენ მანქანებში, ფულებს ხარჯავენ. ახლა რა გაირკვა? გვყავს აჭარის ახალი ასლანი, რომელიც 2014 წლის მოდელებს ყიდულობს, ცალკე კაცი ჰყავს „ზონტიკის“ დამჭერად და ამის პარალელურად ირკვევა, რომ ის პირსისხლიანი, ქვეყნის გადამჭმელი გიგა ბოკერია მოძველებული და სიგარეტის სუნით აყროლებული მანქანით დადიოდა... ეჰ, მე მგონი, მალე იმასაც იტყვიან, რომ ნაციონალებს არაფერი ებადათ, გაცვეთილი შინელისამარა იყვნენო... ჩემმა ნაქებმა პრეზიდენტმა კი რა ქნა? ხელფასი გაიორმაგა.

არადა, მე რომ ქოციონალი ვყოფილიყავი, რა თქმა უნდა, მექნებოდა მოლოდინი, რომ გამიორმაგდებოდა შემოსავალი, რომ ბენზინი გაიაფდებოდა იმ ერთი ლარით, რომელიც იმ უსინდისო მიშას მიჰქონდა ჯიბეში. მეგონებოდა, რომ აწი ქათამს უდანაკარგოდ ვიყიდდი — ბატონი გუბაზი ხომ გვეუბნებოდა — ყველა ქათმიდან ცალი ბარკალი მაგათიაო. ახლა რა გაირკვა? „ვაფშემც“ ვეღარ ვყიდულობ ქათამს, ყოფილიყო ის ქათამი ცალბარკალა, არ მერჩია?

რა სამართლიანობის აღდგენა, რის სამართლიანობის აღდგენა, მთელი წელი გიგი უგულავასთან ომს მოანდომეს, ვერაფერი უღონეს და როდის მოუგრიხეს კისერი? შუაღამისას, 1 საათზე შეუჩერეს უფლებამოსილება ან შნო გქონდეთ და აკონტროლეთ სასამართლო და შუადღისითვე გამოატანინეთ ეგ გადაწყვეტილება, ან მოეშვით და შეეშვით, მთელ ევროპაში თავს ნუ იჭრით! ნაციონალებმა, ლამის ევროკავშირში შეიყვანეს ქვეყანა და თქვენ რა ქენით, „მუზიკაც“ ვერ აარჩიეთ, „შალახო“ დააკვრევინეთ. ხო, გავიგეთ, რომ იმათ დაუკრეს, რომ ჩადიხართ და დატლაკუნობთ, დაწყებამდე რომ გეკითხათ, რას უკრავთ-თქო, ენები დაგძვრებოდათ ან ჩატანილი გქონდათ ფალიაშვილი და იმათ მაინც შალახო დაუკრეს?

ან უგულავას რომ უჩერებთ უფლებამოსილებას, რანაირად? აგერ გამოვიდა სევდია უგრეხელიძე და ამბობს, მე მერის ზემდგომი არა ვარ, გიგი გადავაყენოო, გიგიმ უნდა გადააყენოს თავი? რა ვერ მოითმინეთ, ან რა ვერ გააკეთეთ ისე, რომ ამდენი იაღლიში არ იყოს? მოკლედ, ბიძინა გვა-სევდია-ნებს. დედაქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელი ქალბატონი სევდია ხდება. ქალბატონმა სევდიამ ერთი ფრიად საინტერესო ფრაზა ჩაუფინა — „ეს ხელისუფლება ჩემში საფრთხეს არ ხედავს პოლიტიკური თვალსაზრისით...“ არადა, წესით, უნდა ხედავდეს სევდია უგრეხელიძეში საფრთხეს და რომ ვერ ხედავს, სწორედაც რომ, ეგ დამასევდიანებდა, მე რომ ქოციონალი ვყოფილიყავი. გიგი უგულავას კორუფციის ფაქტებს თუ ვერ დაუმტკიცებ, ბოლო-ბოლო სადღაც წამოკოტრიალებული რომაა, იმ ფოტოებს მაინც აუფრიალებ, ენას ძვალი არა აქვს — ცოლის ვიზაჟისტობას ყელში ამოუყვან (მერე რა, რომ შენი არჩეული პრეზიდენტის ცოლიც ვიზაჟისტია), და სევდიას რა უნდა წააძახო? ან რა კომპრომატი უნდა ამოუქექო? მე რომ მეოცნებე ვყოფილიყავი, ვიტყოდი — არა რა, ამათ ხალხის ცნობა ისწავლონ და მე კიდე ოცნება... გიგი გზიდან მოიშორეთ ვითომ და დედაქალაქის მერად შეგრჩათ ქალი, რომლის პრინციპულობაზე ლეგენდები დადის? ეგ თუ ვირზე შეჯდა, მერე ირბინეთ თქვენი ზებრებით წინ და უკან, ბატონო ბიძინა! ძმამ ვერაფერი მოუხერხა მაგის პრინციპულობას და თქვენ მოუხერხებთ? შევარდნაძემ ვერაფერი მოუხერხა, მიტინგებს რომ ხვრეტდნენ, წინ უდგებოდა მხედრიონელებს და ეუბნებოდა, მესროლეთო და თქვენ შეაშინებთ უდიპლომო ფარცხვალაძით?

არა რა, მე რომ მეოცნებე ვყოფილიყავი, მართლა ტვინში სისხლი ჩამექცეოდა 2013 წელს. რა იღბალი აქვთ ნაცებს — მიშა 10 წელი ჰყავდათ და კიდე წასვლა არ უნდოდა, ეს ბიძინა კიდე ერთ წელიწადში გაგვექცა.... მესამე სექტორი ვჭამოთ?

გამიმართლა, რომ მეოცნებე არ ვარ, თორემ ახლა რომ თვალი გადავავლე, ჩემი ამბავი რომ ვიცი, ნახევარზე სახლში ჯდომა მომიწევდა — გარეთ გამოსვლის შემრცხვებოდა, ან რა ჯანდაბას გამოვიდოდი — ან წნევა მგლიჯავდა ან ინფარქტი. იუსტიციის სახლისთვის „კრიშის“ აძრობა მეყოფოდა სიხარულისთვის მთელი ერთი წელიწადი?

მოკლედ, ბიძინა გვა-სევდია-ნებს. გვა-სევდია-ნებს კი არა, დაგვა-სევდია-ნა და ეგაა?!

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

სევდია უგრეხელიძე: „ყველა ყოფილი ნაციონალი, რომელმაც უგულავას წინააღმდეგ ჩვენება მისცა, თავადაა დამნაშავე!“

თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელი აცხადებს, რომ თბილისის საკრებულოში, ერთ ღამეში, ათასობით ლარის ვისკის სვამენ

ეროსუდან შელია
557-100-768

თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიამ, დედაქალაქის მერიაში შრომით ანაზღაურებასა და წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებით, დარღვევები გამოავლინა; პარალელურად, პროკურატურამ, გიგი უგულავას საქმეზე, მერიის ადმინისტრაციის თანამშრომლები დაკითხა. ამ და სხვა ფაქტების გათვალისწინებით, ნაციონალური მოძრაობა, თვითმმართველობის არჩევნების წინ, აქცენტს პოლიტიკურ დევნაზე აკეთებს. თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელი სევდია უგრეხელიძე, „ვერსიასთან“ საუბრისას, ხელისუფლებას უზნეოს უწოდებს და უწყებაში გაცემულ კოლოსალურ თანხებს კანონდარღვევად არ მიიჩნევს.

— მეორე დღესვე, რაც გიგი უგულავამ განაცხადა, თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას მივიღებ და მერის თანამდებობის დასაკავებლად ვიბრძოლებო, პროკურატურამ მის წინააღმდეგ საქმე შეთითხნა. მარტივია: ხელისუფლება „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატ დავით ნარმანიას, აბსოლუტურად უღირსი მეთოდებით, გზას უთავისუფლებს.

— გიგი უგულავას ბრალი თბილისის ბიუჯეტიდან 40 მილიონ ლარზე მეტის არამიზნობრივ ხარჯვაში ედება. ნაციონალური მოძრაობის წევრობა ინდულგენციაა? დამნაშავეს პასუხისმგებლობა რატომ არ უნდა დაეკისროს?

— ბრალდება მძიმეა თუ ნაკლებადმძიმე, ფაქტია — ქვეყანაში უდანაშაულობის პრეზუმპცია ირღვევა, რომლის მიხედვითაც, ბრალის დამტკიცებამდე ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება. მადლობა ღმერთს, 1937 წელი არ არის, თორემ ხელისუფლება გიგი უგულავას კედელთან მიაყენებდა დასახვრეტად.

— რამდენიმე დღის წინ, სარევიზიო კომისიამ თბილისის მერიის ხარჯები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, 2012 წლის იანვრიდან 2013 წლის ივლისის ჩათვლით, შრომით ანაზღაურებაზე 14 552 000 ლარი დაიხარჯა, მათ შორის, პრემიებზე 8 700 000 ლარი. ქალბატონო სევდია, შეგიძლიათ, მერიის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული კონკრეტული პროექტი დამისახელოთ, რომელიც ამ ციფრების ადეკვატური იქნება?

— სარევიზიო კომისიის დასკვნის გამოქვეყნებამდე, თბილისის საკრებულოს ხარჯები გასაჯაროვდა, რომლის მიხედვითაც, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, „ქართულმა ოცნებამ“ პრემიებსა და ხელფასებზე ორ მილიონ ლარზე მეტი გასცა. ისინი ამტკიცებენ, რომ ახალი ავტომობილები ნაციონალური მოძრაობის მიერ შექმნილი ახალი ფრაქციების გამო შეიძინეს, თუმცა ძვირადღირებულ ავტომობილებზე, რეალურად, თავად წამოსკუპდნენ, ძველ მანქანებზე კი საკრებულოში ჩვენი ფრაქციის თავმჯდომარეები გადასვეს. აღარაფერს ვამბობ, საკრებულოში, ერთ ღამეში დალეულ ათასობით ლარის ვისკისა და საკრებულოს თავმჯდომარის პრემიებზე.

— მერიაში გახარჯულ თანხებზე გკითხეთ, თქვენ კი საკრებულოში დარიგებულ პრემიებზე მესაუბრებით. გამორიცხული არაა, სარევიზიო კომისიის მიერ გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე, ცალკე გამოძიება დაიწყოს.

— საკრებულოს წევრები ცრუობენ და ხაზი მხოლოდ ამას გავუსვი... რაც შეეხება გამოძიების დაწყებას, მერიაში 15 ათასი ადამიანი მუშაობს, რომელიც თბილისის მოსაწესრიგებლად და დედაქალაქის ინფრასტრუქტურის გასამართად ღამეებს ათევს. უწყებაში გაცემული რვაასი მილიონიც სხვაგვარად ანგარიშდება, კომისიამ კი ციფრები არასწორად წარმოადგინა.

— ისიც სიცრუეა, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ნაციონალებმა თავი მერიას შეაფარეს და სამეთვალყურეო საბჭოებში საკმაოდ სოლიდური ხელფასებით გადანაწილდნენ, მათ შორის, კობა ხაბაზი, ხათუნა ოჩიაური და სხვები?

— კანონი ამას არ კრძალავს, თანაც ამ ადამიანებს გამოცდილება აქვთ და პროფესიონალები არიან. მერიას საკმაოდ დიდი მოცულობის შპს და სსიპ-ები აქვს, სადაც უამრავი მნიშვნელოვანი საქმე კეთდება. თუ ჩვენი ყოფილი თანაგუნდელებისგან განსხვავებით, ეს ადამიანები 9 წლის განმავლობაში გაკეთებულ და დაშავებულ საქმეზე პასუხისმგებლობას იღებენ და ქვეყნის საკეთილდღეოდ მუშაობას განაგრძობენ, ამაში ცუდი რა არის? ზოგიერთებს მართლაც უნდათ, ასეთი ნაციონალები დაიხოცონ და, შესაძლებლობა რომ ჰქონდეთ, თავზე შხამსაც დაგვაყრიდნენ. ასე რომ, კობა ხაბაზი იქნება თუ ხათუნა ოჩიაური, მათ დანაშაული არ ჩაუდენიათ და შეუძლიათ, მერიაში დასაქმდნენ.

— კი, ბატონო, მაგრამ მერია ნაციონალური მოძრაობის დაფინანსების წყაროდ იქცა?

— ხელისუფლებას სხვის ჯიბეში ფულის თვლა ეხერხება, თუმცა საკუთარ უბეში არ იხედება, სადაც უკანონოდ მითვისებული ფულის ჩადება უკვე მოასწრო. მერიაში უსაქმური არავინაა, სხვათა შორის, უწყებაში „ქართული ოცნების“ უამრავი მხარდამჭერია, რაც არჩევნებზეც გამოვლინდა. არ მაქვს ილუზია, რომ მერიის ყველა თანამშრომელმა არჩევნებში ხმა ნაციონალურ მოძრაობას მისცა, თუმცა პოლიტიკური შეხედულებების გამო, სამსახურიდან არავინ გაუთავისუფლებიათ, ნიკო ხაჩირიშვილი კი, რომელიც აცხადებს, რომ თურმე, გიგი უგულავა 30-კაციან თათბირებზე თანამშრომლებს პოლიტიკურ დავალებებს აძლევდა, უზნეოა. როგორც ჩანს, ყველა ყოფილი ნაციონალი, რომელმაც გიგი უგულავას წინააღმდეგ ჩვენება მისცა, თავადაა დამნაშავე — 9 წლის განმავლობაში დანაშაულს თავად სჩადიოდნენ, ახლა კი ყურებით დაიჭირეს და უგულავასკენ ხელის გაშვერას აიძულებენ. სხვა ახსნა მათ ქმედებას არ აქვს.

— ნიკო ხაჩირიშვილის გარდა, გიგი უგულავას მხრიდან მუქარაზე ფინანსთა ყოფილი მინისტრი კახა ბაინდურაშვილიც ალაპარაკდა. პროკურატურაში მერიის ადმინისტრაციის თანამშრომლებსაც კითხავენ. ვინც გიგი უგულავას ჩადენილ დანაშაულზე საუბრობს, ყველა ხელისუფლების მიერ მოსყიდულად უნდა მოინათლოს?

— ესეც იგივე სცენარის გაგრძელებაა. ადმინისტრაციის ერთ-ერთი თანამშრომელი ქალბატონია, რომლის შეშინებაც ძალიან მარტივია. პროკურატურა ამ ადამიანებსაც გიგი უგულავას წინააღმდეგ იყენებს. თუ ვინმეს ეშინია, მხოლოდ იმიტომ, რომ თავის დროზე, ბნელ საქმეებს აკეთებდა. როგორც ჩანს, წინა ხელისუფლებას ასეთი ადამიანების ქმედებები გამოეპარა, რადგან ძირითადი აქცენტი ნარკომანიასთან, ქურდობასა და ყაჩაღობასთან ბრძოლაზე ჰქონდა გადატანილი. მაინტერესებს, თუ 9 წლის განმავლობაში ნაციონალური მოძრაობა ცუდი იყო და მერიაშიც დანაშაული ხდებოდა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამდე მათი მოქალაქეობრივი სინდისი რატომ არ შეწუხდა?

— გჯერათ, რომ ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას პარტიისგან გამიჯვნა და მაშინდელი ხელისუფლების დანაშაულზე საუბარი უსაფრთხო იქნებოდა?

— სასაცილოა! კარგად მახსოვს, ზვიად გამსახურდიას დამხობის პერიოდში, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ საქართველოს პირველ პრეზიდენტს 27 ადამიანის დასახვრეტი სია ჰქონდა. როცა ზვიად გამსახურდია ხელისუფლებიდან განდევნეს, რატომღაც, ყველა ამ სიაში „ეტენებოდა“, ჩემ დახვრეტას გეგმავდნენო. ბოლოს, ასეთი ადამიანების რიცხვი 2700-ს ასცდა და დღესაც დაახლოებით იგივე ვითარებაა. ვინც ახლა ამტკიცებს, შიშის გამო, ხმას ვერ ვიღებდიო, როგორც ჩანს, აშავებდა და შესაშინებელიც ჰქონდა. მე რატომ არ მეშინოდა, როცა გიგი უგულავასთან მივდიოდი და ვეუბნებოდი, რომ მერიის ზედამხედველობის სამსახური ზედმეტად მკაცრად გამოიყურებოდა?! მაშინ ქალაქის მერმა შემომთავაზა, ამ მიმართულებით კონტროლი გამეწია და სოლიდარობის ადვოკატის ინსტიტუტი შეგვექმნა. სხვათა შორის, როცა თბილისელების ადვოკატი ზედამხედველობის წინააღმდეგ სასამართლოში საქმეებს იგებდა, ნინო თევდორაძე ხელებს ასავსავებდა, ასეთ ფაქტებს ვერ გავაპიარებო. ან რომელ ნეპოტიზმზე საუბრობს ნიკო ხაჩირიშვილი, რომელიც, „თბილისელების ადვოკატში“, რომელი სტუდენტი, რა ადგილას დამესვა, მირეგულირებდა? სხვათა შორის, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე რომ ამტკიცებს, ჩემი შვილის სიცოცხლის ხელყოფით მემუქრებოდნენო, მის შვილს ლექსების წიგნის გამოცემაში დავეხმარეთ. ფაქტია, ეს ადამიანები ჩვეულებრივი მედროვეები არიან!

შსს-მ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი დააკავა

შს სამინისტროს ინფორმაციით, ძველი თბილისის სამმართველოს და თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ორი წევრი: 1978 წელს დაბადებული ლევან ჩ. და წარსულში ნასამართლევი, 1988 წელს დაბადებული ლევან ხ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული პირები 27 დეკემბერს, ღამით, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, „ვისოლის“ ბენზინგასამართ სადგურში შეიჭრნენ და იარაღის მუქარით 400 ლარი გაიტაცეს. ყაჩაღობის შემდეგ ბრალდებულებმა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა მოახერხეს.

სამართალდამცველებმა 28 დეკემბერს, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ლევან ჩ. ვაშლიჯვარში, ხოლო ლევან ხ. სტელა არტუას ქუჩაზე მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. ლევან ხ–ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ნიღბები, ხელთათმანები და ორი არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ორივე დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ დაკავებულებმა დეკემბერში, თბილისში, რამდენიმე ყაჩაღური ფაქტი ჩაიდინეს და ორ დანაშაულებრივ ეპიზოდში, მათთან ერთად, მესამე პირიც მონაწილეობდა. მისი დაკავების მიზნით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ტარდება. გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით). გამოძიებას შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველო აწარმოებს.

„ინტერპრესნიუსი“

სომხური Voice საქართველოს მოქალაქემ მოიგო

სომხური მედიის ინფორმაციით, ფინალში საქართველოს მოქალაქე ანა ხანჩალიანმა, პროექტის პირველი სეზონის გამარჯვებულ მაშა მნჯოიანთან ერთად, სიმღერა When you believe შეასრულა და მაყურებელთა ყველაზე მეტი ხმა მიიღო.

გამოსვლებისას კი, ჟიურისა და მაყურებლის წინაშე ანა ხანჩალიანი წარდგა სიმღერით When you told me you loved me.

ანა ხანჩალიანმა საქართველოში პოპულარობა პროექტ „ნიჭიერში“ მონაწილეობის შემდეგ მოიპოვა. 2011 წელს კი, ჯგუფ Candy-სთან ერთად, საქართველოს საბავშვო „ევროვიზიის“ კონკურსის გამარჯვებული გახდა.

„ინტერპრესნიუსი“

გარემოს დაცვის სამინისტროს ახალი გზამკვლევი – საფრთხე ინვესტორებისთვის?!

რა ცვლილებები შეაქვს ხათუნა გოგალაძეს გზშ-ს დებულებაში, რომელიც საინვესტიციო პროექტებს შეაფერხებს და რატომ სთხოვენ ექსპერტები ირაკლი ღარიბაშვილს სამთავრობო განხილვას

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის, ხათუნა გოგალაძის 2013 წლის 15 მაისის №31 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ, ცვლილებები და დამატებები შედის. საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების (სიპი) ასოციაციის პრეზიდენტის, ლევან კალანდაძის განცხადებით, ეს ცვლილებები ისეთ ახალ ვალდებულებებს მოიცავს, რაც, პრაქტიკულად, შეუსრულებელია არა მარტო საქართველოს, არამედ ევროკავშირის ქვეყნების რეალობაშიც. დაინტერესებულმა მხარეებმა ამ ცვლილებებთან დაკავშირებული წინადადებები და შენიშვნები ხათუნა გოგალაძის უწყებას 2014 წლის 6 იანვრამდე უნდა აცნობონ. სიპი-ს პრეზიდენტმა, ლევან კალანდაძემ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს ღია წერილით მიმართა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ცვლილებები საფრთხისშემცველია, რადგან საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის დაგეგმილი ყველა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტი, შესაძლოა, შეჩერდეს.

„ცვლილებების მიხედვით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში უნდა მოიცავდეს დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას, მათ შორის, საქმიანობის შედეგად მიღებული სარგებლისა და მიყენებული ეკოლოგიური ზიანის შეფასებას; დაგეგმილი საქმიანობის შედეგად, გარემოსთვის მიყენებული ეკოლოგიური ზიანის საკომპენსაციოდ და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისთვის განსაზღვრულ ადეკვატურ საკომპენსაციო თანხებს, გამოხატულს ეროვნულ ვალუტაში. ცვლილებები საჭიროებს დეტალურ მეთოდოლოგიას, რომელიც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შემუშავებული არ აქვს. ამ მოთხოვნების შესრულება, სუბიექტივიზმის ალბათობა, სტატისტიკური მონაცემების არარსებობა, ხშირად, მონეტარიზაციის შეუძლებლობა ქმნის საშიშროებას, ქვეყანაში გაჩერდეს ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის პროექტი. აღნიშნული მეთოდოლოგიები ევროპის განვითარებულ ქვეყნებში რეგლამენტირებული არ არის“, — ნათქვამია ლევან კალანდაძის ღია წერილში. კონკრეტულად, რა საფრთხისშემცველია და რატომ ექნება ამ ცვლილებებს უარყოფითი გავლენა საქართველოს საინვესტიციო კლიმატზე? „ვერსიას“ ხუდონჰესის მშენებელი კომპანია „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ ტექნიკური ხელმძღვანელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი დავით მირცხულავა ესაუბრა.

— მიმაჩნია, რომ ლევან კალანდაძის მიმართვა დროულია, რადგან, ვფიქრობ, ეს ცვლილებები დიდ საფრთხეს შეიცავს. გადაწყვეტილებისთვის დანახარჯებისა და სარგებლიანობის მოდელია შემოთავაზებული, რომლის რეალური მეთოდოლოგია გარემოს დაცვის სამინისტროს არ აქვს და ეჭვი მეპარება, ქვეყანაში ასეთი ლეგალური, დამტკიცებული მეთოდოლოგია არსებობდეს. ის დაფუძნებულია მათემატიკის ისეთ მიმართულებაზე, როგორიცაა ოპერაციათა გამოკვლევები. სისტემების ანალიზის დროს, იდეალური მოდელი გულისხმობს, მათემატიკური ფორმით, სისტემის ხარისხობრივი მახასიათებლები ობიექტურად დაფიქსირდეს, რაც შედარებით მიღწევადი კარგად სტრუქტურირებულ სისტემებშია. აქედან გამომდინარე, პრაქტიკაში ამ მოდელის გამოყენება, მეტ-ნაკლებად, მისაღები სწორედ ასეთი ამოცანებისთვისაა. ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლის რიცხობრივი ვერიფიცირება ვერ ხერხდებოდა, ასეთ მოდელებში იცვლებოდა სხვა გაზომვადი, შესაძლებელია, არაძირითადი რიცხობრივი ცვლადებით, ეგრეთ წოდებული, რიცხვითი ინდიკატორებით და, ფაქტობრივად, ასე იქმნებოდა ფსევდოობიექტური მოდელები.

— ბატონო დავით, კონკრეტულად, რა ტიპის პროექტებში გამოიყენება ეს მოდელი?

— მაგალითად, დიდი რეზონანსი გამოიწვია დანახარჯები-სარგებლიანობის მოდელის გამოყენებამ მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და, ძირითადად, ეს შესწავლა მოიცავდა ბავშვებს ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახებიდან; გამოიყენება მედიცინაშიც გარკვეული ინფექციების გავრცელების დროს, პრევენციული ღონისძიებების დანერგვისას, როდესაც, მაგალითად, ზუსტად ვიცით, რა რაოდენობის ვაქცინაა საჭირო და შედეგსაც ვაკვირდებით, თუმცა სუსტად სტრუქტურირებად სისტემებსა და პროექტებში, უამრავი ფაქტორია გასათვალისწინებელი და გაუმართლებელი გამარტივებები ხდება, მაგალითად, ზუსტად არ დგინდება რომელიმე ფაქტორის ღირებულებაში შეფასება, ამ მოდელის გამოყენება ძალიან რთულდება ან მიუღებლად მარტივდება, ასეთ შემთხვევაში, ვიღებთ ფსევდომოდელს და, შედეგის სანდოობაც საეჭვოა.

— ამ ცვლილებებით, ნებისმიერი ინფრასტრუქტურული, ენერგეტიკული ან მსხვილი საინვესტიციო პროექტის ბედი, რომელსაც გზშ სჭირდება, ვინმეს ინტუიციაზე იქნება დამოკიდებული?

— რა თქმა უნდა, ამის საშიშროება არსებობს; მაგალითად, შესაძლებელია, გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, ექსპერტი არ ჩამეძიოს და დაამტკიცოს ის, რასაც წარვადგენ, არადა, იქნებ, რომელიმე ფაქტორი გამომრჩა? ვიმეორებ, ეს საკმაოდ რთული მოდელია და ასე, ხელაღებით მისი შემოღება დაუშვებელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზუსტად რეგლამენტირებული მეთოდოლოგია არ არსებობს. საკმაოდ საშიში და სახიფათო თემაა იმ ადამიანისთვის, ვინც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

— საფრთხეში რას გულისხმობთ?

— პირდაპირ ვამბობ — სუბიექტივიზმის საშიშროებას... შესაძლოა, კარგი პროექტი იყოს, მაგრამ ვიღაცამ სუბიექტური გადაწყვეტილება მიიღოს. როდესაც რაიმე ფაქტორის რიცხვითი შეფასებაა საჭირო, რომლის აღწერაც რთულია, მათემატიკურად როგორ უნდა ასახო? უამრავი ფინანსური ფაქტორის აღწერაა შეუძლებელი, ამიტომ დიდია სუბიექტივიზმის საფრთხე და საშიშროებაც, რომ ესა თუ ის პროექტი სუბიექტურად შეფასდეს, გნებავთ პლუსისკენ, გნებავთ — მინუსისკენ. სარგებლიანობისა და დანახარჯების მეთოდი ყველა ფაქტორის ფულად ერთეულში გამოსახვას გულისხმობს, რისი გაკეთებაც მისაღები სიზუსტით შეუძლებელია.

— ეს ცვლილებები ხომ არ ნიშნავს, რომ, ვინც ამ გზამკვლევს ამ შინაარსით იღებს, საქართველოში ინვესტორების შემოსვლას უშლის ხელს?

— როგორც წესი, კატეგორიულ და ხმამაღალ შეფასებებს ვერიდები, რადგან მიმაჩნია, რომ ეს არასწორია. შესაძლოა, ამ ცვლილების ავტორს კეთილი ზრახვები აქვს, მაგრამ აუცილებლად წაკითხული უნდა ჰქონდეს ამ მოდელის კრიტიკული შეფასებებიც. საერთოდ, ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ ისეთი მოდელების გამოყენებას, რომლის გამოცდილებაც არ არსებობს და რომელზეც უამრავი კითხვაა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში; მეტსაც გეტყვით — რატომ მივდივართ უფრო წინ, ვიდრე რომელიმე დიდი, საფინანსო საერთაშორისო ინსტიტუტი? მაგალითად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (იბიარდი) თავისი მოდელები აქვს, რომლითაც სხვადასხვა პროექტში შედის. „იბიარდი“ მაღალი დონის გზშ-ს ითხოვს, მაგრამ ამ მოდელის გამოყენებას ყოველთვის ერიდება, ამიტომ არ მესმის, „რომის პაპზე უფრო დიდი კათოლიკეები“ რატომ უნდა ვიყოთ?

— გარემოს დაცვის სამინისტროს განაცხადში მითითებულია, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა ამ ცვლილების შესახებ წერილობითი შენიშვნები და წინადადებები 2014 წლის 6 იანვრამდე უნდა წარადგინონ. გამოდის, სარისკო გადაწყვეტილება შობა-ახალი წლის დღესასწაულზე, „ნაბახუსევზე“ უნდა შემოგვაპარონ?

— ასეთ შეფასებას ვერ გავაკეთებ, არ მგონია, ეს შემოპარების მცდელობა იყოს, მაგრამ მთელ ცივილიზებულ სამყაროში დეკემბრის მეორე ნახევარი დატვირთული არ არის და ვერც იმას გეტყვით, რომ დოკუმენტების კითხვა საქართველოში ყველას უყვარს. მიმაჩნია, რომ ყველა დეველოპერმა, ყველა კონსულტანტმა უნდა გამოთქვას საკუთარი აზრი; ასევე ყველა სამინისტრომ უნდა დააფიქსიროს პოზიცია, რადგან ეს მეთოდოლოგია საკმაოდ რთული პრობლემის წინაშე დააყენებს ბევრ პროექტს. შესაბამისად, ვეთანხმები ბატონ ლევან კალანდაძის პოზიციას და მიმაჩნია, რომ ამ ცვლილებებთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრმა სამთავრობო განხილვა უნდა გამართოს, რომელსაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, მათ შორის, „იბიარდი“, „მსოფლიო ბანკი“ და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია დაესწრებიან.

— ბატონო დავით, ეს ცვლილებები ხუდონჰესის პროექტის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი ხომ არ არის?

— არა, ცვლილება ხუდონს ნამდვილად არა, მაგრამ ყველა პროექტს უკავშირდება, რომელიც იწყება ან, შესაძლოა, მომავალში დაიწყოს. ვფიქრობ, ჩვენც ისეთივე ხარისხის გზამკვლევი უნდა შემოვიღოთ, როგორსაც „იბიარდი“ ითხოვს და რომელიც გზშ-ს უმაღლეს სტანდარტებს აწესებს. დავეყრდნოთ მსოფლიოში მიღებულ პრაქტიკას, რადგან ჩვენი მთავარი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ინვესტორი შემოვიდეს.

ინვესტიციების მოზიდვაც საკმაოდ კონკურენტული სფეროა. ზოგს ჰგონია, მსოფლიო ინვესტორები მხოლოდ საქართველოში შემოსვლაზე ოცნებობენ, არადა ჩვენი ქვეყანაც იბრძვის, ინვესტიციები შემოვიდეს და ადამიანებს ნორმალური, ცივილური შემოსავალი ჰქონდეთ. მიმაჩნია, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება სწორედ ამ ჭრილში უნდა მივიღოთ და, შესაბამისად, ეს საკითხი მხოლოდ ერთმა, კონკრეტულმა უწყებამ არ უნდა გადაწყვიტოს. დარწმუნებული ვარ, სამინისტროები ამ საკითხზე მსჯელობენ, რადგან ამ მოდელის დანერგვა ცეცხლთან თამაში და ორპირიანი მახვილია ნებისმიერი პროექტის წინააღმდეგ.

რაც შეეხება ხუდონს, ამ პროექტის გზშ უკვე არსებობს, პროექტის ტექნიკური დახასიათების გარდა, მსოფლიოში აღიარებულმა, მაღალი დონის საფინანსო ინსტიტუტებმა ამ პროექტის ფინანსური, საკუთარი მოდელი გააკეთეს.

ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ბოლო დროს, ზოგიერთი „სპეციალისტი“ ბევრს საუბრობს, თითქოს ხუდონჰესის ინვესტორი, უფრო სწორად, ხუდონჰესი არც მოგების, არც ქონების და არც საშემოსავლო გადასახადებს გადაიხდის. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ 20 წლის განმავლობაში, ხუდონჰესის მოგების გადასახადი 410 000 000, ქონების გადასახადი 137 000 000 აშშ დოლარი, რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადს, 20 წლის განმავლობაში, დაახლოებით, 37 000 000 აშშ დოლარი იქნება, აქედან მშენებლობის პერიოდში, 72 თვეში 27 000 000 აშშ დოლარი, ხოლო ექსპლოატაციის პერიოდში, 20 წლის განმავლობაში — 9 600 000 აშშ დოლარი.

— სკეპტიკოსები მიიჩნევენ, რომ ხუდონჰესზე გამომუშავებული ელექტროენერგია საკმაოდ ძვირი იქნება. ეს შეფასება სწორია?

— საუბარია გარანტირებულ შესყიდვაზე, რაზეც სახელმწიფომ გარანტია უკვე გასცა და ესაა ზამთრის პერიოდში, 4 თვის განმავლობაში, პიკური ენერგიის მიწოდება, რაც არასამთავრობო სექტორის რეკომენდაცია იყო. სახელმწიფომ, სისტემის კომერციული ოპერატორის, ე.წ. ესკოს სახით, ვალდებულება აიღო, მრავალი წელი ამ ენერგიას 5.84 ცენტად შეისყიდის. დღევანდელი მონაცემებით, „ესკოს“ საიტზე დაფიქსირებულია, მაგალითად, წლევანდელი ნოემბრის ტარიფი — 10.5 თეთრი. ეს იმაზე გაცილებით მეტია, რასაც 2020 წელს, ზამთრის პიკურ პერიოდში, სახელმწიფო ხუდონისგან იყიდის! რაც შეეხება გათვლებს, მერწმუნეთ, იმხანად, საქართველოში ელექტროენერგიის ფასი გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე დღესაა. ყველა საპროგნოზო გათვლით, 2020 წელს, ხუდონის ტარიფი კონკურენტული იქნება საქართველოს შიდაბაზარზეც. ამბობენ, საქართველო აგრარული ქვეყანაა და ამხელა ენერგია რა საჭიროაო, მაგრამ აგრარულ სფეროშიც კი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, საკმაოდ მაღალი ენერგოტევადობის ფაბრიკებისა და საწარმოების შექმნას მოითხოვს. ევროპის ბაზარზე ის ნიშა უნდა დავიკავოთ, რასაც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიწოდება ჰქვია, ამას კი დამატებითი ენერგია სჭირდება. ენერგიის სიიაფე, პერსპექტივაში, საშუალებას მოგვცემს, ქიმიური მრეწველობა, მეტალურგია და ფეროშენადნობები სრული დატვირთვით ამუშავდეს, რაც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას საშუალებას მისცემს, სიღარიბე სწრაფად დაძლიოს.

— თურქეთში „გაზპრომი“ ატომური ელექტროსადგურის მშენებლობას გეგმავს, ამიტომ ცალკეული ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ხუდონჰესის მშენებლობა აზრს კარგავს.

— სისულელეა, ალბათ, „როსატომი“ და არა „გაზპრომი“, ასე უფრო სწორია, რადგან თურქეთის ამ პერსპექტიული ატომური სადგურის ფინანსური მოდელი ნანახი მაქვს. გარწმუნებთ, ამ მოდელის თანახმად, ატომურ სადგურზე გამომუშავებული ელექტროენერგიის ფასი, გაშვების ეტაპისთვის, 1 კილოვატ/საათზე, 21 ცენტით დაიწყება, ყოველ შემთხვევაში, გათვლებში ასეა.

აქედან გამომდინარე, არ ვფიქრობთ, ხუდონის ელექტროენერგიას მხოლოდ ექსპორტზე გავიტანთ, მაგრამ რამდენიმე წელიწადში, თუ ელექტროენერგია მაინც უნდა გავყიდოთ, საშუალება გვექნება, მხოლოდ თურქეთში კი არა, გერმანიაში, გნებავთ, პორტუგალიაში, ლისაბონში, იორდანიაში ან, თუნდაც, ისრაელში გავყიდოთ. შესაბამისად, ქართული ენერგია, რომელიც წარმოებული იქნება ჩვენს ჰიდროსადგურებზე, ჩვენს საკუთარ რესურსზე, მოთხოვნადი იქნება, როგორც ქვეყნის შიგნით და ეს უმნიშვნელოვანესია, ასევე ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ენერგეტიკულ ბაზრებზეც!

ᲕᲘᲜ ᲛᲘᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲛᲐᲘᲐ ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲛᲓᲔ

„1937 წელი მგონია, რადგან ტელეფონზე პასუხის ეშინიათ!“

ᲛᲐᲘᲐ ᲛᲘᲨᲔᲚᲐᲫᲔ
593-51-90-12

კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ახალგაზრდა მამაკაცმა, გიორგი გურგენიძემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილი სამშენებლო კომპანია „ცენტრ-პოინტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო, რომელსაც ფინანსური პრობლემები ჰქონდა — მეგობრის მამის საცხოვრებელი ბინა ბანკში იპოთეკით დატვირთა და თანხას ვერ იხდიდა. გურგენიძემ თავი საკუთარი იარაღით მოიკლა. შსს-მ სუიციდის ფაქტი დაადასტურა. სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის, ნინო გიორგობიანის განცხადებით, მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. „ვერსია“ კომპანია „ცენტრ-პოინტის“ დამფუძნებელს, ᲛᲐᲘᲐ ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ გარდაცვლილი გიორგი გურგენიძე მისი დეიდაშვილია და თვითმკვლელობამდე ერთ-ერთმა მენაშენემ მიიყვანა.

— გიორგი კომპანიის დამფუძნებელი კი არა, არქიტექტორი იყო, რომელიც არაჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ და რამდენიმე წარმატებულ ობიექტს უძღვებოდა. ეს ტრაგედია ჩვენი ერთ-ერთი მენაშენის, ნათია ყიფშიძის ბრალია. ღრმაღელის ობიექტი „აქილევსის ქუსლად“ გვექცა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეჩერდა. ამ პროექტის საძირკველი, მიწის ყიდვა, მიწის სამუშაოები და სპეცტექნიკა 5 000 000 აშშ დოლარი დაჯდა, უკვე 4 სართული ავაშენეთ, მაგრამ ობიექტიდან კომპანიაში შემოსასვლელი თანხა 1 700 000 აშშ დოლარია. მთლიანობაში, 10 000 კვადრატული მეტრია ასაშენებელი, აქედან 4 000 კვადრატული მეტრი უკვე ავაშენეთ. 1 700 000 აშშ დოლარი, რომელიც მენაშენეებმა უნდა შემოიტანონ, თავისუფლად ჰყოფნის ობიექტის დასრულებას. ღრმაღელის ობიექტზე ერთ-ერთი მომჩივანი ნათია ყიფშიძეა, რომელმაც გიორგის ქონება და ღრმაღელის ობიექტი დააყადაღა. ნათია ყიფშიძის ადვოკატმა გაყიდა გიორგის ერთი ნაკვეთი, არმატურა და ბეტონიც კი, რომელიც ობიექტზე გვქონდა და, იცით, ამას ასე დარწმუნებით რატომ გეუბნებით? — იმიტომ, რომ მთელი ჩვენი ოფისი მუშაობდა, რათა ნათია ყიფშიძე სხვა ობიექტზე, თუნდაც ბათუმში, წყნეთში ან „დაკიდებულ ბაღებში“, სადაც უკვე დასრულებულია მშენებლობა, გადაგვეყვანა, მაგრამ ვერ მოვრიგდით. საბოლოო ჯამში, გიორგი გურგენიძემ ასეთ ზეწოლას ვერ გაუძლო და თვითმკვლელობამდე მივიდა. გიორგის რომ ნათია ყიფშიძის ვალი გაესტუმრებინა, საკუთარი ბინა იპოთეკით დატვირთა და, პირადად მე, ორი ტრანზაქცია გავაკეთე. საერთოდ, ობიექტებზე ორი ან სამკაციანი ჯგუფებია, რომლებიც მშენებლობას აფერხებენ. ეს აქტიური, მაგრამ საკმაოდ გაუნათლებელი ხალხის ჯგუფებია, რომლებიც სხვების ცუდად განწყობას ახერხებენ და ობიექტსაც აჩერებენ. გიორგი გურგენიძე უკვე მეშვიდე დეველოპერია საქართველოში, რომელმაც თავი მოიკლა.

— მას შემდეგ, რაც „ცენტრ-პოინტი“ დაიბრუნეთ, მაგრამ მენაშენეებთან სერიოზული პრობლემები დაგხვდათ, ღიად აღნიშნეთ, რომ თბილისის მერი გიგი უგულავა ხელს გიშლიდათ...

— არა, ახლა გიგი უგულავა არაფერ შუაშია! თბილისის მერიასთან ურთიერთობა ნელ-ნელა დავალაგეთ.

— რას ფიქრობთ, მენაშენე ნათია ყიფშიძის უკან ხომ არავინ დგას?

— ალბათ, უგნურება ან ბოღმა, რაც აუცილებლად უნდა დასრულდეს. იცით, როგორი ვითარება იყო პირველ თვეებში, როცა „ცენტრ-პოინტში“ დავბრუნდით? — მოვარდნები, გისოსებზე აძვრომა, ფანჯრების ლეწვა... არადა, მე ხომ არ გავურბივარ პასუხისმგებლობას, გიორგიც ხომ არსად მიდიოდა? პირდაპირ გეუბნებით, ნებისმიერ სახლში ვაძლევდი ნათია ყიფშიძეს ბინას, მაგრამ არ წამომყვა, ავუხსენი, რომ მისი ქმედებით, ღრმაღელის ობიექტის 150 მენაშენე ზარალდებოდა, მაგრამ უშედეგოდ, ესე იგი, მას ეს მოსწონდა.

— კომპანიაში ახლა რა ვითარებაა?

— ორშაბათს, 30 დეკემბერს, ჩემს იურისტებთან ერთად, სხვადასხვა დეველოპერი პრესკონფერენციას გამართავს, რადგან ამ პროცესის მიშვება არ შეიძლება. სამშენებლო დარგს პატრონი არ ჰყავს და, ამის გამო, სატკივარს ვერავის ვეუბნებით. ჩემი პრობლემა ისაა, რომ არ ვიცი, როგორ შევამცირო წერილი ისე, რომ რომელიმე უწყებაში წაიკითხონ! არ ვიცნობ საქართველოში არც ერთი ორგანიზაციის პირველ პირს, რომელიც ორგვერდიანზე დიდ წერილს წაიკითხავს და გაიგებს! ყველაზე დიდი დარგი, რომელიც წინა წლებში საქართველოს ბიუჯეტის ნახევარს ავსებდა, უპატრონოდაა! პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური კომიტეტის თავმჯდომარის, ზურაბ ტყემალაძის გარდა, ტელეფონს საპარლამენტო უმრავლესობის ერთი წევრიც არ პასუხობს! ზურაბ ტყემალაძე ერთადერთი ადამიანია, რომელთანაც ურთიერთობა უიოლესია. უმრავლესობის დანარჩენი წევრები, რომლებსაც ორი დღის განმავლობაში, გამუდმებით ვურეკავდი, არ მპასუხობდნენ. 1937 წელი მგონია, რადგან ვფიქრობ, ტელეფონზე პასუხის ეშინიათ. ასეთი რამ არასოდეს მომხდარა, თუნდაც წინა მოწვევის პარლამენტში, რადგან ვისთანაც უნდა დამერეკა, ყველა მპასუხობდა. მაგალითად, ძალიან კარგად ვიცნობდი მიშა მაჭავარიანსა და გიგა ბოკერიას, მაგრამ არ ვიცნობდი პალიკო კუბლაშვილს, არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე მათგანს ტელეფონის ზარზე არ ეპასუხა!

— კონკრეტულად, ვის ურეკავდით, ქალბატონო მაია, ვინ არ გპასუხობდათ?

— საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს ვურეკავდი. ოჯახის წევრების საშუალებითაც ვცადე დაკავშირება, რადგან ზოგიერთი მათგანის მეუღლეს ვიცნობ, თუმცა უშედეგოდ. გიმეორებთ, რაღაცის ეშინიათ და ეს შიში თუ არ მოისპო, ქვეყანა ფეხზე ვერ დადგება! პარლამენტის წევრთან, საქმიანი ურთიერთობის გარდა, რა შეიძლება მომინდეს? მართლა ხომ არავის სჯერა, რომ თაღლითი ვარ? 500 000 კვადრატული მეტრი ავაშენე და ამის შემდეგ გავხდი თაღლითი? ეს ხომ წინასაარჩევნო, ბინძური კამპანია იყო, რომელიც ორივე მხარემ დადგა. ვრეკავ, რადგან საქმე მაქვს და მე რომ მემალებიან, ხომ წარმგიდგენიათ, რიგით მოქალაქეები რა დღეში იქნებიან? ალბათ, მათთან კომუნიკაცია საერთოდ აღარ აქვთ!



ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝᲓ 50-200%-ᲘᲗ ᲒᲐᲫᲕᲘᲠᲓᲐ

საქართველოში ბოლო ერთი თვის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა. დაახლოებით 200-300%-ით გაძვირდა კარტოფილი, 1,5-2 ლარით მოიმატა ფასმა მწვანილზე, 50%-ით გაძვირდა ლობიო, ერთი კილოგრამი ყველის ფასი 6-7 ლარიდან 8-10 ლარამდე გაიზარდა.

ექსპერტები პროდუქტზე ფასების ზრდას, ერთი მხრივ, სეზონურობას, მეორე მხრივ კი, პროდუქციის დეფიციტს უკავშირებენ. მათი აზრით, მოსახლეობის დაბალი მსყიდველუნარიანობის გამო, მაღალი ფასები მხოლოდ ახალ წლამდე შენარჩუნდება, იანვრიდან კი კვლავ შემცირდება.

100-150%-ით გაძვირდა ყვავილოვანი კომბოსტო. ერთი თვის წინ 1 კგ კომბოსტო 70-80 თეთრი ღირდა, დღეს მისი შეძენა 1,80 ლარზე ნაკლებად შეუძლებელია.

მკვეთრად მომატებულია ფასი რძის პროდუქტზეც. კერძოდ, 1 ლიტრი რძე ბაზარში უკვე 2,5 ლარი ღირს, ერთი თვის წინ მხოლოდ 2 ლარი ღირდა. 4-5- თეთრით მოიმატა ქარხნული კვერცხის ფასმა, ხოლო სოფლის კვერცხი ლამის 50 თეთრს გასცდა.

თბილისის ანალოგიურად, ფასებმა მოიმატა რეგიონებშიც. მაგალითად, გურიაში განსაკუთრებით გაძვირდა კარტოფილი, ბადრიჯანი, პომიდორი, ლობიო, მწვანილი. კერძოდ, თუ კარტოფილი 80 თეთრი ღირდა, დღეს მისი ფასი ორ ლარამდეა, ბადრიჯნის ფასმა 4 ლარს მიაღწია. სოკოც გაძვირდა და თევზიც თითქმის 1 ლარით.

BPN

ᲜᲘᲙᲐ ᲒᲘᲚᲐᲣᲠᲛᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

საქართველოს ბანკმა სტამბოლში წარმომადგენლობითი ოფისი გახსნა და, როგორც ირკვევა, საქართველოს ბანკის ფილიალს თურქეთში ნიკა გილაური, ბანკის დირექტორის ძმა და ყოფილი პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს. როგორც ბანკში აცხადებენ, ოფისის გახსნა სტამბოლში, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია საქართველოსა და თურქეთს შორის არსებული ინვესტიციებისა და ვაჭრობის მნიშვნელოვანი მოცულობით. შესაბამისად, წარმომადგენლობითი ოფისი ფოკუსირებული იქნება თურქეთის ფინანსურ ინსტიტუტებსა და ბიზნესწრეებთან ურთიერთობის გაღრმავებაზე.

BPN

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲛ, ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ, 360 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲒᲐᲡᲪᲐ

გურჯაანის გამგეობის ყველა თანამშრომელი საახალწლოდ, პრემიის სახით, ორმაგ ხელფასს აიღებს, — ამის შესახებ გადაწყვეტილება საკრებულოს სხდომაზე უკვე მიიღეს. როგორც სხდომაზე განმარტეს, გამგეობის თანამშრომლებმა კარგად იმუშავეს და ამიტომ ეს პრემიები დაიმსახურეს. პრემიის სახით ბიუჯეტიდან სულ 360 ათასი ლარი გაიცა.

„პირველი რადიო“

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲛᲐ ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔᲔᲑᲡ 1-2 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ



როგორც პატრიარქმა საკვირაო ქადაგების დასასრულს ბრძანა, ხშირია შემთხვევა, როდესაც ადამიანები თევზს კურთხევის გარეშეც მიირთმევენ:

„ხალხი მაინც მიირთმევს თევზს ახალი წლის დღეებში და ლოცვა-კურთხევა მაინც ჰქონდეს“.

უწმინდესის განმარტებით, საახალწლო პარაკლისი ძველით ახალ წელს შესრულდება.

„ბედნიერი შობა-ახალი წელი გაგითენოთ მამაზეციერმა“, — ბრძანა ილია მეორემ.

„ინტერპრესნიუსი“

„ნარინჯისფერი რთვლის“ სუბსიდირებისთვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 12 მლნ ლარი გამოიყო

ცენტრალურმა მთავრობამ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ციტრუსის დაბინავებისთვის 12 მლნ ლარი გამოუყო. თანხა „ნარინჯისფერი რთვლის“ სუბსიდირებისთვის, მთავრობის სარეზერვო ფონიდან გამოიყო. როგორც ცნობილია აჭარის ბიუჯეტში არასტანდარტული ციტრუსის სუბსიდირებისთვის 1,8 მლნ ლარი იყო გათვალისწინებული, ხოლო მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხით სტანდარტული ციტრუსის სუბსიდირება მოხდება.

აჭარის მთავრობის ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით, ექსპორტირებულია 40 000 ტონამდე ციტრუსი. მათ შორის რუსეთის მიმართულებით გატანილია 11 800 ტონა. წლის ბოლომდე ექსპორტზე გავა 50-60 ათას ტონამდე მანდარინი.

„ჯი-ეიჩ-ენი“

სემეკ-იდან 60 ადამიანს ათავისუფლებენ

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ტარიფების დეპარტამენტის თანამშრომლის თქმით, პირველი იანვრიდან მათ ხელშეკრულებებს ვადა გასდის და ახალი ხელშეკრულების გაფორმებას არ აპირებენ.

„სრულ ვაკუუმში ვართ, როგორც მოვიქცეთ, არ ვიცით, არც იმას უყურებენ, რამდენი წელი ვმუშაობდით აქ და არც სტაჟსა თუ გამოცდილებას ითვალისწინებენ. ამ ხალხს არაფერი აინტერესებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ემზადებიან თბილისში გადასასვლელად და კადრებს ანახევრებენ“, — განუცხადა „პირველის“ ადგილობრივ კორესპონდენტს სემეკ-ის ტარიფების დეპარტამენტის თანამშრომელმა მამუკა ჩიხლაძემ.

„პირველი“ სემეკ-ს დაუკავშირდა, სადაც ინფორმაცია დაადასტურეს და აღნიშნეს, რომ ამ პოზიციებზე კონკურსი გამოცხადდება. მათ კი სხვებთან ერთად, შეუძლიათ, ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსში მონაწილეობა.

მათივე ინფორმაციით, თანამშრომლებმა აღნიშნულის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დროს უკვე იცოდნენ და ეს მათთვის ახალი ინფორმაცია არ არის.

„პირველი“

სასჯელაღსრულების მე-12 დაწესებულებაში ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის“ გაიმართა

ნახევრადღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ინტელექტუალური თამაში მოაზროვნე გიორგი ბაქრაძემ წაიყვანა.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცნობით, ერთმანეთს ექვს-ექვსი მსჯავრდებულით დაკომპლექტებული ორი ჯგუფი ეჯიბრებოდა და იგი სატელევიზიო ფორმატით წარიმართა.

გამარჯვებული გუნდი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, წიგნებით დასაჩუქრდა.

ასევე, თამაშის მსვლელობისას აუდიტორიისა და წამყვანის მიერ საუკეთესო მოაზროვნე გამოვლინდა, რომელსაც წიგნი — „გინდათ, გახდეთ ინტელექტუალი?“ — გადაეცა.

ინტელექტუალური თამაში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პოპულარობით სარგებლობს და ხშირად იმართება. 2014 წელს სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულების ჩართულობით, თამაშის სრული ფორმატით ჩატარება იგეგმება.

„პირველი“

„სამ დურაკის“ პრინციპი საზოგადოებაზე დიდხანს ვერ იმუშავებს“

კახი კახიშვილის საახალწლო რჩევები ხელისუფლებას

რუსუდან შელია
557-100-768

როდის გადადგება ოთარ ფარცხალაძე მთავარი პროკურორის თანამდებობიდან და რა ცვლილებები განხორციელდება მინისტრთა კაბინეტში ახალი წლის შემდეგ, რატომ გამოვიდა ნაციონალური მოძრაობა ქუჩაში და რა გამოწვევების წინაშე დგას „ქართული ოცნება“? — „ვერსიის“ კითხვებს პოლიტოლოგი კახი კახიშვილი პასუხობს.

— ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ოთარ ფარცხალაძის ნასამართლეობის შესახებ ინფორმირებული არ იყო, ამიტომ პრემიერ-მინისტრი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდეს. თანამდებობაზე დანიშვნამდე, ოთარ ფარცხალაძეს ნასამართლეობის შესახებ სპეციალური საბუთი უნდა წარედგინა და ბლანკიც შეევსო, თუმცა, როგორც ჩანს, ეს არ გააკეთა.

— ეს ნიშნავს, რომ ოთარ ფარცხალაძემ სახელმწიფო შეცდომაში შეიყვანა. მსგავსი ტიპის დარღვევისთვის კანონში შესაბამისი მუხლი გათვალისწინებულია?

— ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, კანონდარღვევაა დაფიქსირებული — პროკურატურის ორგანულ კანონში პირდაპირაა მითითებული, რომ თანამდებობაზე დანიშნული პირი ნასამართლევი არ უნდა იყოს, რაც გაქარწყლებულ ნასამართლეობას არ გულისხმობს. ოთარ ფარცხალაძის შემთხვევაში, ნასამართლეობის მოხსნა ვერ მოხერხდა, რადგან, ჩემი ინფორმაციით, გერმანიაში გამოტანილი განაჩენი, აღსრულების ნაწილში, საქართველოს არ გადმოეცა და, შესაბამისად, საზღვარგარეთ გამოტანილი განაჩენის საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა ვერ მოხერხდა. ასე რომ, ფინანსთა სამინისტროსა და შემდეგ, მთავარ პროკურატურაში დანიშვნის პერიოდში, კანონი აშკარად დაირღვა.

— ასეა თუ ისე, მთავარი პროკურორის შეცვლას, როგორც ჩანს, არავინ აპირებს. ამ ფონზე, მთელი პროკურატურის ლეგიტიმაციის პრობლემა ხომ არ დადგება?

— სავარაუდოდ, პრემიერი ახალი წლის შემდეგ ადეკვატურ გადაწყვეტილებას მიიღებს და ოთარ ფარცხალაძეც მთავარი პროკურორის პოსტს დატოვებს, რადგან ნაციონალური მოძრაობა ამ საკითხის დახურვას არ აპირებს. მეტიც, ეს მუდმივი პიარის თემა იქნება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის ფარგლებსგარეთ, დასავლეთში — ხომ გეუბნებოდით, ქვეყნის სათავეში ყაჩაღები მოდიან, ამაზე მეტი მტკიცებულება რა გინდათო. საკმაოდ უხერხული მდგომარეობიდან გამოსასვლელად კი, ხელისუფლებამ დროული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

რაც შეეხება პროკურატურის ლეგიტიმაციას, ნაციონალები მათ წინააღმდეგ წარმოებული საქმეების განხილვისას, სასამართლო პროცესებზე საუბარს სწორედ ოთარ ფარცხალაძით დაიწყებენ. მერწმუნეთ, ეს პროცესი გაისად უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს.

— მომავალ წელს ხელისუფლება კიდევ ერთი სკანდალით ხვდება — ვანო მერაბიშვილის განცხადებაზე რეაგირება საგამოძიებო სტრუქტურებს ჯერ არ მოუხდენიათ. ფარცხალაძის თანამდებობიდან შესაძლო გადაყენება ხელისუფლებას ამ პრობლემასაც მოუგვარებს?

— აღნიშნული საკითხიც ხელისუფლებამ არასწორად გაწელა. „ქართულ ოცნებას“ ნაციონალური მოძრაობისთვის ამ თემით მანიპულირების საშუალება არ უნდა მიეცა და წმინდა სამართლებრივი საკითხი პოლიტიკურ ჭრილში არ უნდა გადასულიყო. ფაქტია, ვანო მერაბიშვილის განცხადება სისხლის სამართლის ნიშნებს შეიცავს, რომლის საფუძველზეც რეაგირება მაშინვე უნდა მომხდარიყო. საქართველოს კანონში ხაზგასმით წერია — თუ განცხადება სისხლის სამართლის დანაშაულს შეიცავს, საგამოძიებო ორგანოები და პროკურორი ვალდებულია, საქმის მოკვლევა დაუყოვნებლივ დაიწყოს. ამ შემთხვევაში, კანონში დისკრეციული უფლებამოსილება მითითებული არ არის. თუ ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი იტყუება, ეს მიუკერძოებელმა გამოძიებამ უნდა დაადგინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უამრავი კითხვა ჩნდება ქვეყნის შიგნით და დასავლეთშიც. გასაგებია, რომ პროვოკაციული განცხადება იყო, მაგრამ ნაციონალურმა მოძრაობამ მიზანს რომ არ მიაღწიოს, ხელისუფლებამ გამოძიება უნდა დაიწყოს.

— ამ მიმართულებით მმართველი გუნდი ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა, ნაციონალური მოძრაობა კი ხელისუფლებას თავისმართლების რეჟიმში აყენებს.

— ნაციონალურმა მოძრაობამ „ქართული ოცნება“ თავისმართლების რეჟიმში საპარლამენტო არჩევნების მეორე დღესვე ჩააყენა. მეტიც, ზოგჯერ საპარლამენტო უმცირესობის ბრალდებებზე მმართველი გუნდი არგუმენტირებულ პასუხს ვერ სცემს, ამიტომ ხელისუფლებამ საკუთარი პოლიტიკა კარგად უნდა გააანალიზოს, ერთიან პოზიციაზე ჩამოყალიბდეს და ყველა ბრალდებას კანონმდებლობის შესაბამისად უპასუხოს.

— ბატონო კახი, ეს „ქართულ ოცნებაში“ არსებული არაპროფესიონალიზმის შედეგია?

— კომპეტენციის ნაკლებობა და კოალიციის ეკლექტურობა — ესაა შეცდომების ძირითადი მიზეზი. გუნდში ფიქრობენ, რომ „სამ დურაკის“ პრინციპი საზოგადოებაზე მუდმივად იმუშავებს, მაგრამ შეცდომების ნაციონალურ მოძრაობაზე გადაბრალება დიდხანს ვერ იმუშავებს. კი ბატონო, კარგად გვახსოვს ხელისუფლებაში მყოფი ნაციონალური მოძრაობა, ისიც ვიცით, რას აკეთებდნენ და რამდენი დანაშაული ჩაიდინეს, იმასაც ვაანალიზებთ, რომ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, „ქართული ოცნება“ წინამორბედისგან ბევრად განსხვავდება, თუმცა რა გვინდა: ნაცმოძრაობაზე ოდნავ კარგი ხელისუფლება თუ მმართველი გუნდი, რომელიც დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობას მყარ საფუძველს ჩაუყრის? ვფიქრობ, ახალი წლის შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილს მინისტრთა კაბინეტის გადახედვაც მოუწევს, რადგან ზოგიერთი სამინისტრო, ფაქტობრივად, ინერციით მუშაობს. თუ ხელისუფლება სათანადოდ არ მოემზადება და არ ჩამოაყალიბებს გუნდს, რომელიც ინერციით კი არ იმუშავებს, ნოვატორულ რეფორმებს გაატარებს, 2014 წელი „ქართული ოცნებისთვის“ ბევრად მძიმე იქნება.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ თვითმმართველობის არჩევნები გველოდება, რომელიც ორგანიზებისა და შედეგების დათვლის კუთხით, სხვა არჩევნებთან შედარებით, საკმაოდ რთულია. ამასობაში, არასაპარლამენტო ოპოზიცია, რომელიც კოჰაბიტაციის პერიოდში ვითარების გამწვავებას ერიდებოდა, თანდათან გააქტიურდება, ასე რომ, გაისად ხელისუფლება საკმაოდ სერიოზული გამოწვევების წინაშე დადგება.

— ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტის გადატანას ქუჩაში ცდილობს მაშინ, როცა ყოფილ მაღალჩინოსნებზე არაერთი საქმეა აღძრული, საპარლამენტო ოპოზიცია რა გამოწვევების წინაშე დგას?

— ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლების დისკრედიტაციას მაქსიმალურად შეეცდება. თანაც, მსგავსი ვითარება ნაციონალებს უკვე გამოვლილი აქვთ — 2000-2003 წლებში შევარდნაძის გუნდს გამოეყვნენ და მაშინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ ყველა მეთოდი გამოიყენეს, ამიტომ ხელისუფლებამ ყოფილ სახელისუფლო პარტიას იმის შესაძლებლობა არ უნდა მისცეს, ხალხმა განწყობა შეიცვალოს და იმაზე საუბარი დაიწყოს, ნაციონალები ამ შემთხვევაში მართლები არიანო. ამის აღმოსაფხვრელად კი აუცილებელია, „ქართულმა ოცნებამ“ უპასუხო კითხვები არ დატოვოს. საზოგადოება იმასაც კარგად ხედავს, რომ „ოცნების“ წარმომადგენლები, თანამდებობებზე დანიშვნისთანავე, ძვირადღირებულ მანქანებს, ტელეფონებს, კომპიუტერებსა და „ქეისებსაც“ კი ყიდულობენ, უარს არც მაღალ პრემიებზეც ამბობენ, რაც მშიერი მოსახლეობას აღიზიანებს. ამ ფონზე, „ქართული ოცნების“ ლიდერების განცხადებები და არგუმენტები, თითქოს ნაციონალური მოძრაობის დროს უარესი ხდებოდა, აღარ მუშაობს და რაც დრო გავა, მით უფრო არაეფექტური გახდება. თუ მმართველი გუნდი ეფექტურ ნაბიჯებს არ შემოგვთავაზებს, პროცესები მისთვის ნეგატიური შედეგებით დასრულდება.

— 2003 წელი ნაციონალურმა მოძრაობამ რევოლუციით დაასრულა. 9-წლიანი მმართველობის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილის პარტიას აქვს პერსპექტივა, მოვლენები იგივე სცენარით წარმართოს?

— არ მგონია, ნაციონალურმა მოძრაობამ სამ წელიწადში რევოლუციის მოხდენა შეძლოს, თუმცა არ გამოვრიცხავ, საპარლამენტო ოპოზიციამ ხელისუფლების

სერიოზული დისკრედიტაცია და მისი რეიტინგის ნულამდე დაყვანა მოახერხოს. ისიც მნიშვნელოვანია, მომავალი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ვინ, რა კონფიგურაციით შევა პარლამენტში, რადგან შესაძლებელია, გამოჩნდეს ძალები, რომლებსაც ნაციონალურ მოძრაობასთან უშუალო კავშირი არ აქვს, მაგრამ პარლამენტში მათ სასარგებლოდ იმუშაონ, ეს პროცესი კი საქართველოს სახელმწიფოებრიობას პრობლემებს შეუქმნის. ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნება საქართველოს სერიოზული პრობლემა გახდება, რადგან მისი მმართველობის სტილი ერთხელ უკვე ვნახეთ და ისიც ფაქტია, რომ მათი მეთოდები უცვლელია.

ირმა ინაშვილი უვადო შიმშილობას იწყებს

„პროტესტის ამ ფორმისთვის სააკაშვილის რეჟიმის დროსაც კი არ მიმიმართავს!“

ეროსუდან შელია
557-100-768

მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი 35-ე დეციმეტრული სიხშირის დაბრუნებას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უვადო შიმშილობის დაწყებას გეგმავს. როგორც ჟურნალისტი აცხადებს, არსებობს საპარლამენტო დასკვნა, რომელიც გამოძიების დასაწყებად პროკურატურას უახლოეს მომავალში გადაეგზავნება და სადაც დეტალურადაა აღწერილი, როგორ წაართვეს „ობიექტივს“ კუთვნილი სიხშირე. გამოძიების დაწყებამდე, ირმა ინაშვილმა მარეგულირებელ კომისიასა და ხელისუფლებას ალტერნატიული სიხშირის გამოყოფის თხოვნით მიმართა.

„2005 წელს „ობიექტივს“ 35-ე ანუ თბილისზე მაუწყებელი ტელეარხი წაართვეს. „ობიექტივის“ გამოძიებით, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, სააკაშვილის რეჟიმმა კუთვნილი არხი 40-ზე მეტ მესაკუთრეს წაართვა და ეს არხები მაღალჩინოსნებზე გაფორმდებდა... „ობიექტივის“ ხელმძღვანელობას მუდმივად ემუქრებოდნენ, ზეწოლას ხდებოდა არხის დირექტორ მიხეილ აგლაძეზე, რომელსაც ტელეკომპანიის საკონტროლო პაკეტის დათმობას აიძულებდნენ, იგი სასტიკად სცემეს, დღეს კი ინვალიდია — სმენა დაკარგა. ამის შემდეგ ტელეკომპანია წაგვართვეს და „ობიექტივმა“ რამდენიმე უკანონო მესაკუთრე გამოიცვალა. ჯერ სტომატოლოგი ვინმე კაკაურიძე, რომელზეც ტელეკომპანია „იბერიაც“ იყო გაფორმებული, რაც მაუწყებლობის შესახებ კანონის უხეში დარღვევაა — არ შეიძლება, ერთი პირი ორ სხვადასხვა ტელეკომპანიაში საკონტროლო პაკეტს ფლობდეს. იმ პერიოდში ყურადღებას არავინ აქცევდა, კანონი ირღვეოდა თუ არა, რადგან კანონი იყო მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი. ამის შემდეგ, კაკაურიძემ ტელევიზია ნოდარ ჭარხალაშვილს გადასცა, რომლისგანაც ბიზნესმენ გურამ კვირიკაშვილს გადაეცა, კვირიკაშვილმა კი, „ობიექტივი“ და მისი ლიცენზია სახელმწიფოს აჩუქა. პარლამენტის საგამოძიებო კომისიის დასკვნას დიდი იმედით ველოდით. აღსანიშნავია, რომ თინა ხიდაშელის კომისიამ კომპეტენტურად იმუშავა და ამ მიმართულებით სერიოზული დასკვნაც დადო, სადაც დეტალურადაა აღწერილი, როგორ წაართვეს „ობიექტივს“ ტელეარხი; მეტიც, თინა ხიდაშელს მომზადებული აქვს დასკვნა, რომელიც გამოძიების დასაწყებად პროკურატურას უნდა გადაეგზავნოს, თუმცა ეს დროში გაიწელება, ამიტომაც დეკემბრის დასაწყისში მარეგულირებელ კომისიასა და ეკონომიკის სამინისტროს მივმართეთ, პარლამენტის კომისიის დასკვნით იხელმძღვანელონ. შესაბამისად, სანამ გამოძიება დაიწყება და დამნაშავეები დაისჯებიან, მარეგულირებელმა კომისიამ ალტერნატიული, თავისუფალი სიხშირე გამოგვიყოს. გამოძიება რამდენხანს გაგრძელდება, კაცმა არ იცის, ჩვენ ვართ მოქმედი ტელევიზია, რომელიც აუდიტორიას კარგავს. 10 წლის განმავლობაში, ერთი მხრივ, ზიანი, როგორც ჟურნალისტებმა და მედიაორგანიზაციამ მივიღეთ, მეორე მხრივ კი, მესაკუთრე დაზარალდა. დღეს ისევ მეუბნებიან, რომ დრო უნდა გავიდეს და ამის შემდეგ კანონიერად წართმეული სიხშირე, ან დაგვიბრუნდება, ან არა, არავინ იცის, გამოძიება როგორ წარიმართება. პრეტენზია, რომ 35-ე არხი დღესვე მომცენ, არ მაქვს, დაიწყონ გამოძიება და დასრულდეს, როცა იქნება. პროტესტის ამ ფორმისთვის სააკაშვილის რეჟიმის დროსაც კი არ მიმიმართავს. მაშინ უამრავი პრობლემა იყო — დიქტატურა, რეჟიმი, მაგრამ არ ვიყავი იმ მდგომარეობაში, ასეთი განცხადება გამეკეთებინა, დღეს კი შეურაცხყოფილი ვარ, წართმეული მაქვს ყველანაირი საშუალება, როგორც მედიასაშუალების მფლობელსა და ჟურნალისტს. იმავდროულად, ვხედავ, რომ სამართლიანობა „ობიექტივთან“ მიმართებაში კიდევ დიდხანს არ აღდგება და ამიტომ, დასაკარგი რა არის? — არაფერი. ვინც მიცნობს, კარგად იცის, რომ ტყუილად ასეთ განცხადებებს არ ვაკეთებ და თუ დავიწყე შიმშილობა, შიმშილობა სიკვდილამდე იქნება!“ — აცხადებს ირმა ინაშვილი.

ამასთან, ჟურნალისტი განმარტავს, რომ არსებობს ალტერნატიული სიხშირე, რომლის გაცემასაც ეკონომიკის სამინისტრო ეწინააღმდეგება — ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ 2015 წლამდე, სანამ სისტემა დეციმეტრულ მაუწყებლობაზე არ გადავა, მარეგულირებელმა კომისიამ სიხშირე არ უნდა გასცეს. საეთერო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ამ დროისთვის, 35-ე დეციმეტრული სიხშირით ტელეკომპანია „ტვ 3“ მაუწყებლობს:

„ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, ეკონომიკის სამინისტრო პრობლემებს გვიქმნის. როგორც უწყებაში განგვიცხადეს, 2015 წლის ივლისამდე, სანამ სახელმწიფო ციფრულ მაუწყებლობაზე არ გადავა, თავისუფალი სიხშირეების სარგებლობაში გაცემა აკრძალულია, ამიტომ მარეგულირებელ კომისიას თავისუფალი სიხშირის მოწოდება არ შეუძლია. ამ ეტაპზე, ეკონომიკის სამინისტროს, მარეგულირებელ კომისიასა და „ობიექტივს“ შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს. იმედი გვაქვს, ეკონომიკის სამინისტრო კეთილ ნებას გამოიჩენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უვადო შიმშილობას დავიწყებთ. ამ აქციაში სხვადასხვა მედიასაშუალების წარმომადგენლებიც ჩაერთვებიან. ხელისუფლების ქმედებები მავნებლობას ჰგავს, რადგან ის თავისუფალ სიხშირეს ფლობს. სახელმწიფო ავი ძაღლის პრინციპით მოქმედებს, არც მე და არც შენო. სახელმწიფო სიხშირეებს ყინავდეს და, ამ დროს, ტელევიზიას მაუწყებლობის არეალის გაფართოების საშუალება არ ჰქონდეს, დანაშაულია. ალტერნატიული სიხშირის გამოყოფას მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდება“.

ირაკლი კაკაბაძემ ზურაბ ჟვანიას საქმეზე სკანდალური ჩვენება მისცა

უფლებდამცველი ირაკლი კაკაბაძე და საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, გარდაცვლილი პრემიერის ძმა, გოგლა ჟვანია მთავარ პროკურატურაში თითქმის ოთხი საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ.

პროკურატურის დატოვების შემდეგ, ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა ირაკლი კაკაბაძემ. მისი თქმით, მოწმის სტატუსით დაკითხეს და გამოძიებას ინფორმაცია მიაწოდა ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ჯგუფის შესახებ, რომელიც იარაღით უკანონოდ ვაჭრობდა და ამ „მაფიის ნათლიმამა“ იყო მიხეილ სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია. ირაკლი კაკაბაძის თქმით, საქართველოში არსებობდა და არსებობს ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები იკვეთებოდა და, რომელსაც, კანონის დაცვის სახელით, ზურაბ ჟვანია წინ აღუდგა. ეს მოხდა 2004 წლის 18-20 დეკემბერს.

„არსებობდა და არსებობს მაფია, რომლის ნათლიმამა გახლდათ თემურ ალასანია, ერიკ გუდისი, დავით კეზერაშვილიც მოიაზრებოდა ამ მაფიაში, რომელიც იარაღის უკანონო გაყიდვით ძალიან დიდ ფულს აკეთებდა. ყველაფერი კეთდებოდა კანონის გვერდისავლით და ამით ძალიან დიდი ზარალი მიადგა საქართველოს. მაფიის წინააღმდეგ გამოვიდა ჩემი მეგობარი ზურაბ ჟვანია 2004 წლის დეკემბერში. 2005 წლის თებერვალში ჩემთან იყო ზარი ამ მაფიის ერთ-ერთი წევრისგან, კერძოდ, ერიკ გუდისისგან, რომელიც, სხვათა შორის, გახლავთ გრუ-ს ოჯახის ცნობილი წევრი, პუტინთან დაახლოებული პირი. მისი მუქარა პირდაპირ ასე ჟღერდა, მთავრობის ორი წევრი — კახა ბენდუქიძე და ზურაბ ჟვანია ერთი თვის შემდეგ აღარ იქნებოდნენ თანამდებობაზე“, — აღნიშნა ირაკლი კაკაბაძემ.

მისივე თქმით, ამის შესახებ არაერთხელ უსაუბრია და თანამშრომლობდა ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძესთან, რომელმაც გადაიღო ფილმი ზურაბ ჟვანიას შესახებ. კაკაბაძემ ასევე აღნიშნა, რომ FBI-ის დასკვნა, ჟვანიას სიკვდილთან დაკავშირებით, გაყალბებული იყო, არასწორი თარგმანი გაკეთდა გიგა ბოკერიას უწყებაში.

კაკაბაძის თქმით, მას სამსახურებრივად ურთიერთობა ჰქონდა ერიკ გუდისთან. თავად ირაკლი კაკაბაძე კი იმ პერიოდში მუშაობდა „თბილავიამშენის“ საგარეო ურთიერთობათა განყოფილებაში. კაკაბაძე საუბრობს იმაზეც, რომ ეს მაფია დაინტერესებული იყო, ხელში ჩაეგდო სტრატეგიული ობიექტები — აეროპორტი და „თბილავიამშენი“.

კაკაბაძის განცხადებით, ერიკ გუდისი კვალიფიციური იურისტი, კორპორაცია ANG-ის გენდირექტორი და იარაღის გაყიდვის სპეციალისტია. მისივე თქმით, იმ პერიოდში, იგი ამერიკიდან საქართველოში კონტრაქტების გასაფორმებლად ჩამოვიდა. ირაკლი კაკაბაძე ამ პიროვნებას თავად მასპინძლობდა. კაკაბაძე განმარტავს, რომ კონტრაქტების გაფორმება დაგეგმილი იყო 2004 წლის 20 დეკემბრისთვის, თუმცა არ შედგა, რადგან ზურაბ ჟვანიამ უარი თქვა კორუფციულ გარიგებაზე, საიდანაც იგი 20%-იან „ატკატს“ მიიღებდა. ამ კონტრაქტის ჩაშლის შემდეგ, გუდისი მოსკოვში გაფრინდა. კაკაბაძის ინფორმაციით, საუბარი იყო წელიწადში იარაღის უკანონოდ გაყიდვის შედეგად მიღებულ მოგებაზე, რომელიც შეადგენდა 1 მლრდ 100 მილიონ დოლარს. მისივე თქმით, არალეგალურად რუსული იარაღით ვაჭრობა უნდა მომხდარიყო პერუსთან, ვენესუელასთან და ა.შ. საქართველო კი ამ ვაჭრობისათვის არალეგალური ბაზა იქნებოდა.

„ფორ.გე“

ვერსიანიუსი

ვოლგოგრადში პირველიდან 3 იანვრის ჩათვლით გლოვა გამოცხადდება

რკინიგზის სადგურში განხორციელებული ტერაქტის გამო, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა, ვოლგოგრადის ოლქში 1-3 იანვარს გლოვა გამოცხადდება, — ამის შესახებ რუსული მედია იუწყება. რკინიგზის სადგურის შესასვლელში აფეთქება 29 დეკემბერს, 12:45 საათზე მოხდა. ზოგიერთი წყაროს ცნობით, დაიღუპა 15 ადამიანი, სხვა წყაროები კი 18 ადამიანის გარდაცვალების შესახებ იუწყებიან.

რაც შეეხება დაშავებულებს, მათი რიცხვი 40-ს აჭარბებს. დაშავებულთა შორის ბავშვებიც არიან. დაღუპულებს შორის კი ერთი პოლიციელია.

წინასწარი მონაცემებით, აფეთქება თვითმკვლელმა ტერორისტმა ქალმა განახორციელა. არსებული ინფორმაციით, ტერორისტმა ვერ მოასწრო შემოწმების მეტალოდეტექტორის გავლა და აქედან გამომდინარე, აფეთქება სადგურის შესასვლელში მოხდა.

„ინტერპრესნიუსი“

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ წარმოებულ საქმეებს თვალს აღევნებს

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს, რომ ყურადღებით ადევნებს თვალს ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ წარმოებულ ლეგალურ საქმეებს, — „ამერიკის ხმის“ ინფორმაციით, ამის შესახებ 27 დეკემბერს, პრესისთვის გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„ყურადღებით ვადევნებთ თვალს საქართველოს მთავრობის მიდგომას ყოფილი არჩეული მაღალჩინოსნების წინააღმდეგ წარმოებულ საქმეებთან დაკავშირებით და ხელახლა მოვუწოდებთ ხელისუფლების წარმომადგენლებს, სკურპულოზურად და გამჭვირვალედ დაიცვან სამართლიანი პროცესი და კანონის უზენაესობა.

შეერთებული შტატები მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ მხარეს, გააგრძელონ კონსტრუქციული თანამშრომლობა საერთო მიზნის მისაღწევად, რაც საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების გამყარებასა და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაში მდგომარეობს“, — ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიას ხსოვნას პატივი მიაგო

საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებიდან 20 წლისთავთან დაკავშირებით, მთაწმინდის პანთეონში ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ხსოვნას პატივი მიაგო და მისი საფლავი გვირგვინით შეამკო:

„აქ იმ ხალხთან ერთად მოვედი, რომელიც მედგრად იდგა ქართული ისტორიის იმ ურთულეს პერიოდში, რომელმაც სერიოზული მორალური არჩევანის წინაშე დააყენა ბევრი ადამიანი. დღეს, ასევე, პატივი მივაგეთ მერაბ კოსტავას ხსოვნას“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა და აღნიშნა, რომ ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ 20 წლის წინ ეროვნული აღფრთოვანება გამოიწვიეს.

ზვიად გამსახურდიას საფლავთან ქვეყნის პირველი პრეზიდენტის თანამებრძოლი პოლიტიკოსებიც იმყოფებოდნენ.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ბორჯომში ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი შენდება

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პარტნიორობითა და ჰოლანდიის მთავრობის მხარდაჭერით, ბორჯომის მუნიციპალიტეტში საქართველოში რიგით მესამე სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა მიმდინარეობს.

ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის შედეგად, მოხდება ამჟამად მოქმედი ძველი ნაგავსაყრელის კონსერვაცია და რეაბილიტაცია, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გარემოსთვის მისაღები ფორმით განთავსება და ნიადაგისა და წყლის დაბინძურების პრევენცია.

პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია მუნიციპალიტეტის პერსონალის გადამზადება ნარჩენების მართვისა და ნაგავსაყრელის ოპერირების სფეროში, რაც ხელს შეუწყობს ბორჯომში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებას. მუნიციპალიტეტს გადაეცემა ახალი ტექნიკა (ბულდოზერი, კონტეინერები, სხვა დამხმარე ტექნიკა). გარდა ამისა, შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები.

მშენებლობის დასრულება დაგეგმილია 2014 წლის პირველ კვარტალში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში მოქმედი ნაგავსაყრელებიდან მხოლოდ ორია სანიტარული. წლების განმავლობაში არ არსებობდა ნარჩენების მართვის საკითხების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა. ამჟამად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მიმდინარეობს ნარჩენების მართვის სტრატეგიასა და საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე მუშაობა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

პოტენციური თვითმკვლელის აღსარება

როგორ იღებს ადამიანი სუიციდის გადაწყვეტილებას

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

რამდენიმე დღის წინ, მაშველებმა მტკვარში 20 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს. წინასწარი ინფორმაციით, ახალგაზრდა დიდუბის ხიდიდან გადახტა. თვითმკვლელობის მიზეზის დასადგენად გამოძიება დაწყებულია... ჩვენი რესპონდენტი ახალგაზრდა მამაკაცია, რომელმაც ათი წლის წინ თვითმკვლელობა გადაწყვიტა, თუმცა განზრახვაზე ხელი მალევე აიღო. „ვერსია“ პოტენციური თვითმკვლელის აღსარებას გთავაზობთ.

— სოფელში დავიბადე, ჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა. საბჭოთა პერიოდში გაზრდილებმა, ნევროზი და დეპრესია რა იყო, ნაკლებად ვიცოდით. ერთადერთი, მოზარდობისას მაწუხებდა კითხვა — სიცოცხლე, ყველაფერი ის, რაც გარშემო გვქონდა და გვახალისებდა, ხელის ერთი მოსმით როგორ უნდა დასრულებულიყო? ჩემს აზროვნებაში სიკვდილის ცნებაც სწორედ მაშინ გაჩნდა.

კომუნიზმის მიუხედავად, ჩემი მშობლები ათეისტები არ ყოფილან და შვილებს ღვთისადმი რწმენას გვინერგავდნენ. მამაჩემს რომ ვეკითხებოდი, აბა, ერთი მაჩვენე, ღმერთი სად არის-მეთქი, ხელს გულზე მიიდებდა, შვილო, აი აქ არის და ამაში არასოდეს დაეჭვდეო. მამა იმასაც გვიყვებოდა, როგორ გადაურჩა რეალურ საფრთხეს: ერთხელ, საბჭოთა ჯარში მსახურებისას, თვალუწვდენელ ტყეში მოუწიათ უზარმაზარ მანძილზე გადაადგილება. გზად, ერთ-ერთ გაჩერებაზე ჩამოხტა და გვერდზე გავიდა, რომ დაბრუნდა, მატარებელი უკვე დაძრულიყო. იქ რომ დარჩენილიყო, მამა მტაცებლების მსხვერპლი გახდებოდა. ძალა მოიკრიბა და მატარებელს დაედევნა, შეახტა და გაყინული ხელები რკინას ჩასჭიდა. მატარებელი გაჩერებას არ აპირებდა. ჯარისკაცი ნელ-ნელა გრძნობას კარგავდა... ამ დროს, დედის ლოცვა და მისი დანაბარები გაახსენდა, როცა ძალიან გაგიჭირდება, შენს წმინდანად შერაცხულ წინაპარს დახმარება სთხოვე, მე კი გამუდმებით შენთვის ვილოცებ, უფალს შეწევნას ვთხოვ და იცოდე, ნებისმიერ გასაჭირში შენს გვერდით ვიქნებიო. ამაზე ფიქრმა ცოტა გამოაფხიზლა და... მატარებელმაც სიჩქარეს ნელ-ნელა უკლო...

მოგვიანებით, მამაოს ვკითხე, მამაჩემი ამბობდა, უფალი ჩემს გულშია და მართალია-მეთქი. მოძღვარმა დამიდასტურა, ღმერთი ჩვენი სინდისია და მას სწორედ გულით ვატარებთო.

სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში წამოვედი და ჩინელების წყევლა ამიხდა — მეტად საინტერესო დროში მომიწია ცხოვრება. რა აღარ ვნახე — შიმშილობა, ჯანმრთელობის პრობლემები, მუდმივი იმედგაცრუება, უმუშევრობა, მგლური გარემო, სადაც ადამიანი თვისტომს ერთი სიტყვის გამო იმეტებს და... ქვეყანა დაუსრულებელ საშინელებათა ფილმს დაემსგავსა. როგორ ჩანს, ამ ყველაფერმა დაღი დამასვა. ნერვიული გავხდი, ყველაფერზე ვრეაგირებდი და ისედაც რთულ სურათს, უფრო ვაზვიადებდი. ხანდახან ისეთ მდგომარეობაშიც ვყოფილვარ, თავჩაქინდრულსა და სახეზე ხელებაფარებულს, გვერდით გახედვაც აღარ მდომებია... ექიმებმა ნევროზი დამიდგინეს... ფიზიკური ვარჯიში დავიწყე და ნელ-ნელა კალაპოტში ჩავდექი.

თვითმკვლელობაზე ფიქრი კი, პირად ურთიერთობაში წარუმატებლობის შემდეგ დავიწყე. იმდენად გულგატეხილი ვიყავი, სუიციდზე აზრები შემომეპარა. იცით, როგორ ხდება? — დანაშაულის განცდა გტანჯავს, ყველაფერს საკუთარ თავს აბრალებ, მოჯადოებული წრე იკვრება, გამოსავალს ვეღარ პოულობ და ამ დროს, თვითგანადგურების ინსტინქტი მთელი ძალით ირთვება. ის ნელი მოქმედების ნაღმივითაა, სულში, სხეულში ნელ-ნელა გიძვრება... მოძრაობ, გადაადგილდები, ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობ, მაგრამ ამ დროს, სიკვდილზე, თვითმკვლელობაზე „ტკბილი ფიქრი“ სადღაც, ყველაზე ღრმად გაქვს გადანახული და არ გასვენებს, ვერ ვიტყვი, რომ ეს გტანჯავს, რადგან გააზრებული გაქვს, რომ ერთი ნაბიჯი და ყოველწუთიერი ამაოება დასრულებულია. ძალგიძს, შენივე ხელით ბოლო მოუღო წუთისოფელს და როცა აღარ იქნები, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ რას იფიქრებს? შენ ხომ გახვალ გაღმა და აღარაფერი შეგაწუხებს, აღარ დაგტანჯავს?

ალბათ, წარმოუდგენელია, რასაც გიყვებით, მაგრამ ასეა. აღარავის ეკონტაქტები ოჯახის წევრების გარდა. მათაც სასხვათაშორისოდ ესაუბრები — გეცოდებიან, რადგან შენგან განსხვავებით, არ იციან, როგორ დააღწიონ თავი ბედის ბორბალს, შენ კი, ერთადერთი ხარ, ვინც „სამყაროს საიდუმლოება ამოხსენი“, შენ ხელშია ყველაფერი. მოსვლა სხვისი საქმე იყო, წასვლა შენს ხელშია და ამ გადაწყვეტილებას ვერავინ შეგაცვლევინებს.

ამ „ტკბილი ოცნებით“, დაახლოებით, ერთი თვე ვიცხოვრე და იცით, რამ გადამარჩინა? — ქუჩებში ბევრმა ხეტიალმა და ფიზიკურმა აქტივობამ. აკი გითხარით, თავის დროზე ნევროზული ჩივილი რომ დამემართა, ვარჯიში, სირბილი დავიწყე და გარკვეულ რეჟიმში ჩავჯექი, რასაც ისე მივეჯაჭვე, მის გარეშე ცხოვრება შეუძლებელი მეჩვენებოდა... მაშინაც და ახლაც, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ვარჯიშით მონიჭებულმა ბოლო ძალამ გადამარჩინა. მოულოდნელად, ერთ-ერთ გრძელ დისტანციაზე სიარულისას, თვითმკვლელობაზე ფიქრმა თავი დამანება და ნებისმიერ ფასად, ბრძოლის გაგრძელება გადავწყვიტე. იმ წუთიდან სუიციდზე ფიქრი უკუვაგდე, მერე, სადღაც წავიკითხე, ვინც პირველ მსგავს მცდელობას გადაურჩება, აღარ იმეორებსო. კიდევ კარგი, რეალური მცდელობა არ მქონია.

ალბათ, მკითხავთ, სუიციდს სისუსტედ მივიჩნევ თუ სიძლიერედ? — უფრო სისუსტეა, რადგან თვითმკვლელობა რეალობისგან გაქცევაა!

ისე, მაპატიოს უფალმა, ალბათ, ქრისტეც თავისებურად თვითმკვლელია — იცოდა, რომ ჯვარს აცვამდნენ, მოკლავდნენ, მაგრამ შეგნებულად წავიდა ამ ნაბიჯზე და კაცობრიობის ცოდვები საკუთარ თავზე აიღო.

ყველაფერი ეს კი იმიტომ გიამბეთ, მინდა, სხვამ აღარ გაიმეოროს თვითგანადგრების ეს გზა. სიცოცხლე ღმერთისგანაა მონიჭებული და ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ სულის გადასარჩენად!..

ვერსიანიუსი

საახალწლოდ გაზმომარეგების კომპანია საგანგებო რეჟიმში იმუშავებს

თბილისის გაზმომარაგების კომპანიის წარმომადგენელთა განმარტებით, ახალი წლის დღეებში ბუნებრივი აირის მოხმარება იზრდება — ბევრია გაუფრთხილებლობით გამოწვეული ავარია და გაზით მოწამვლის შემთხვევა.

პრობლემების მოსაგვარებლად, კომპანიის საავარიო სამსახურში შექმნილია სპეციალური დამატებითი ჯგუფები, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში იმუშავებენ.

„მზად ვართ, მოვახდინოთ რეაგირება თითოეული ჩვენი აბონენტის ზარზე, დღის ნებისმიერ მონაკვეთში. მინდა, მოვუწოდო ჩვენს აბონენტებს, ყურადღებით მოეკიდონ გაზის ხელსაწყოების უსაფრთხო მოხმარებას, მიაქციონ ყურადღება ჩვენი სპეციალისტების მითითებებს. არ მიაერთონ თვითნებურად დანადგარები, რათა თავიდან ავიცილოთ სავალალო შედეგები. დანადგარების თვითნებურად მიერთების შემთხვევაში, აბონენტების მიმართ გატარდება ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ზომები“, — განაცხადა „ყაზტრანსგაზ თბილისის” მთავარმა ინჟინერმა გიორგი ლებსვერიძემ.

„მედიანიუსი“

წლის მოხდენილი „ფეისები"



ამერიკულმა ჟურნალმა Vogue ცნობილი ადამიანების რეიტინგი შეადგინა, ვისი ჩაცმულობაც გამორჩეული იყო. ყველაზე მოხდენილი ვარსკვლავების სიაში მოხვდა მომღერალი რიანა ორიგინალური კოსტიუმებისთვის; მოდელი კარა დელევინი, რომელიც მშვენივრად ახერხებს ჩაცმულობით თავისი მოურიდებელი ხასიათის დემონსტრირებას; სტელა მაკარტნი, რომელიც ნებისმიერ ვითარებაში მომხიბვლელია. წითელი ხალიჩის დედოფლად გამოცემამ მსახიობი კეიტ ბლანშეტი აღიარა, კერი ვაშინგტონი ამერიკელი მანდილოსნების მოდის კრიტერიუმების დამწესებლად დაასახელეს, მოდელი მირანდა კერი კი ყველაზე გლამურულ დედად მიიჩნიეს. რაც უნდა უცნაური იყოს, ამ რეიტინგში ვერ მოხვდა კეიტ მოსი, რომელსაც გემოვნებიანი ჩაცმისთვის ყოველთვის გამოარჩევენ ავტორიტეტული გამოცემები.

ურუგვაი — წლის ქვეყანა

ცნობილმა გამოცემამ The Economist, პირველად თავის ისტორიაში, გადაწყვიტა, წლის ქვეყანა გამოევლინა. ეს ტიტული სამხრეთამერიკულ სახელმწიფოს — ურუგვაის ერგო, სადაც ლეგალიზებულია ერთსქესიანთა ქორწინება, მარიხუანას წარმოება... როგორც გამოცემა წერს, გეი-ქორწინებების ლეგალიზება „პროგრესული ნაბიჯია, რომელიც ყოველგვარი დანაკარგის გარეშე, ადამიანს აბედნიერებს", ხოლო რაც შეეხება მარიხუანას, The Economist აღნიშნავს, რომ ამ სიახლემ საშუალება მისცა ქვეყნის ხელისუფლებას, უფრო მძიმე დანაშაულებზე გადართულიყო და მათ აღმოფხვრაზე ეზრუნა. ჟურნალმა განსაკუთრებით გამოყო ურუგვაის პრეზიდენტი ხოსე მუხიკა, რომელიც მოკრძალებულ სახლში ცხოვრობს და სამსახურში ძველი მანქანით დადის.

ქოჭის ფანმა სახლი ნაძვისხეებით აავსო

ერთ-ერთმა ამერიკელმა სახლში 86 ნაძვისხე დადგა — ქალაქ გრინვუდის მკვიდრი ბრენდონ სმიტი ხელოვნური ნაძვისხეების კოლექციის მფლობელია და როგორც თავად აღნიშნავს, შობის სიყვარული მშობლებისგან გამოყვა, რადგან ეს ოჯახში მთავარი დღესასწაული იყო. ნელ-ნელა საახალწლო ნაძვისხის მორთვა სრულმასშტაბიან გატაცებად იქცა და ახლა ბრჭყვიალა სათამაშოებითა და გირლანდებით მორთული წიწვოვანი ხეები მისი სახლის ყოველ ოთახსა და კუთხეს ამშვენებს. სმიტი აცხადებს, რომ მისი კოლექცია მუდმივად იზრდება და სადღესასწაულო სამზადისისთვის თითქმის ერთი თვე სჭირდება — ჯერ ხეებს შესაფერის ადგილზე დგამს, შემდეგ კი მორთვას იწყებს.

ნაძვისხეების კიდევ ერთი ფანი კენტუკის შტატში ცხოვრობს — სელია ტომასი ელიზაბეტთაუნში მედდად მუშაობს და საშობაოდ სახლის მორთვას ჰელოუინის დასრულებისთანავე იწყებს — 76 ნაძვისხე აქვს და ყოველ მათგანს განსხვავებული სტილით რთავს.

საჩუქარი გარდაცვლილი ცოლისგან მიიღო

აშშ-ში, აიოვას ერთ-ერთი რადიოსადგურის თანამშრომლებმა, სადაც ყოველწლიურად საშობაო შოუ გადის და მსმენელების სურვილების ასრულებას ეძღვნება, ელექტრონული ფოსტით წერილი მიიღეს ბრენდა შმიტცისგან. თავად ბრენდა ორი წლის წინ გარდაიცვალა, მაგრამ სიკვდილის წინ მეგობარს სთხოვა, ჟურნალისტებისთვის მისი სურვილი გაეგზავნა — ეს იყო მეუღლის, მისი ცხოვრების ახალი მეგზურისა და შვილებისთვის „ზღაპრული მოგზაურობა“, რომელიც მთელი ცხოვრება დაამახსოვრდებოდათ, იმ ჰოსპიტლის თანამშრომლებისთვის კი, სადაც თავად მკურნალობდა, გრანდიოზული წვეულება. როგორც რადიოს მენეჯერმა აღნიშნა, მსგავსი გზავნილი არასოდეს მიუღიათ.

ობამები განქორწინებას აპირებენ?

ამერიკულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ აშშ-ს პირველი ლედი, მიშელ ობამა ქმართან გაყრას აპირებს, ამისთვის დოკუმენტებიც მზად აქვს და დღესასწაულების შემდეგ განქორწინების პროცესის დაწყებასაც გეგმავს. მათი ქორწინება განწირულია, ერთად მხოლოდ შვილებისა და პოლიტიკური კარიერის გამო არიან, მაგრამ, ჩანს, მიშელი დაიღალა. იგი უკვე შეხვდა ადვოკატს და ქმარსაც განუცხადა, რომ მარტო ცხოვრება სურს, — წერს ერთ-ერთი ტაბლოიდი National Enquirer. გამოცემის ინფორმაციით, მეუღლეებს შორის კონფლიქტში გარდამტეხი მომენტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის, ნელსონ მანდელას დაკრძალვაზე სკანდალური ფოტოსესია იყო. მედიაში გაჩნდა ფოტოები, რომელზეც ბარაკ ობამა, ბრიტანეთისა და დანიის პრემიერებთან ერთად, ფოტოებს იღებდა სმარტფონზე, ამ დროს კი, აშშ-ს პრეზიდენტის მეუღლე მარტო იჯდა. ფოტოებიდანაც ჩანს, რომ მიშელი უკმაყოფილო იყო ქმრის საქციელით. ზოგიერთმა გაზეთმა ობამა დანიის პრემიერთან ფლირტშიც კი დაადანაშაულა.

მშობლებმა მილიონი მოაგებინა

ახალი წლის წინ უფროსებსაც სურთ, სასწაულის სჯეროდეთ და სურვილები აუხდეთ, თუმცა ჩინელი ცოლ-ქმარი ვერც კი წარმოიდგენდა, ასე თუ გაუმართლებდა — მათ ორი წლის ბიჭს ნება მისცეს, ინტერნეტლატარიაში ციფრების სერია აეკრიფა და ბავშვის წყალობით, 1,03 მილიონი დოლარი მოიგეს. მსგავსი რამ ცოტა ხნის წინ ისრაელშიც მოხდა, როცა ხუთი შვილის მამას ფორტუნამ გაუღიმა და ლატარიაში ჯეკ-პოტი — 7,3 მილიონი დოლარი მოხსნა. 50 წლის მამაკაცმა ბილეთი შეიძინა და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, საკუთარი და მეუღლის დაბადების თარიღები ჩაწერა. აღსანიშნავია, რომ ერთ წუთში მილიონრადქცეულ მამაკაცს ცხოვრების სტილი არ შეუცვლია — მან თანხა ბავშვების ანგარიშზე დადო, რათა მომავალში კარგი განათლების მიღება, ოჯახების შექმნა და ბინების ყიდვა შეძლონ.

არაბები საახალწლოდ თოვლს ყიდულობენ

თოვლის გარეშე საახალწლო განწყობის შექმნა, ცოტა არ იყოს, რთულია, ამიტომ არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, სადაც ზამთარში, ჩვეულებრივ, 20 გრადუსზე მეტი სითბოა, სადღესასწაულოდ თოვლს ყიდულობენ. თოვლის ეფექტის შექმნაზე კომპანია Desert Snow ზრუნავს, რომელიც ყველა მსურველის სახლის ეზოებს ხელოვნური თოვლით ავსებს. კომპანიას თოვლის 40 მანქანა, თოვლის კაცუნები და ხელოვნური ტყე აქვს, ზამთრის პეიზაჟის შექმნა 5-სანტიმეტრიანი თოვლით, დაახლოებით, 1 400 დოლარი ღირს ყოველ 5 კვადრატულ მეტრზე, თუმცა ცხელი საამიროების მკვიდრნი არ ზოგავენ თანხას ასეთი სიამოვნებისთვის და როგორც კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, დეკემბერში 3,75 ტონა თოვლი გაყიდეს.

საიდან მოდის ნაძვისხის დადგმის ტრადიცია?

კათოლიკურმა სამყარომ შობის დღესასწაული უკვე იზეიმა, მსოფლიო ახალი წლის შესახვედრად ემზადება და პლანეტის უამრავ ქალაქში სადღესასწაულოდ ნაძვისხეები მოირთო. საინტერესოა, საიდან იღებს სათავეს ეს მშვენიერი ტრადიცია?

თურმე, ჯერ კიდევ ძველი კელტები რთავდნენ განსაკუთრებულ ხეს 24 დეკემბერს — მზის აღორძინების დღეს. მათი კალენდრის მიხედვით, წლის ყოველი თვე გარკვეულ ხეს უკავშირდებოდა, ზამთრის პირველ თვეს კი სწორედ ნაძვი ერგო, რომელსაც ხილით, ყვავილებით... რთავდნენ. დაახლოებით IV საუკუნეში ქრისტიანებმა იესოს დაბადების თარიღად 25 დეკემბერი დაადგინეს. რამდენიმე ასწლეულის შემდეგ კი მოხდა სასწაული — გერმანელმა ბერმა გადაწყვიტა, დრუიდებისთვის დაემტკიცებინა, რომ მუხა არ იყო წმინდა ხე და მოჭრა. გადავარდნისას მუხამ რამდენიმე ხეც დაიყოლა, ნაძვი კი გადარჩა, რაშიც ბერმა უფლის ხელი დაინახა და ნაძვი საშობაო ხედ აღიარა. მას შემდეგ, შობასა და ახალწელს ამ ხის მორთვის ტრადიცია მთელ ევროპაში გავრცელდა, XVI საუკუნეში კი, დოკუმენტური წყაროების მიხედვით, რიგის ცენტრალურ მოედანზეც დადგეს სადღესასწაულო ხე, რომელიც ცოცხალი ყვავილებით, ვარდებით მორთეს. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია ამ ტრადიციას კერპთაყვანისმცემლობის გადმონაშთად მიიჩნევდა, წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა: საშობაოდ მორთული ნაძვები უკვე დღესასწაულის უცვლელი ატრიბუტი გახდა საფრანგეთში, გერმანიასა და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში.

პირველი განათებული ნაძვისხე მოგვიანებით — XVIII საუკუნის დასაწყისში გაჩნდა. მაშინ საამისოდ სანთლებსა და ქონის პატარა ჯამებს იყენებდნენ, რომელშიც ფითილი იწვოდა. მას შემდეგ უამრავი წელი გავიდა, ტექნიკა წინ წავიდა და დღეს უკვე შეგვიძლია მსოფლიოში სხვადასხვაგვარი ილუმინაციებით განათებული ნაძვისხეებით დავტკბეთ.

ტაქსი ბახუსის წინააღმდეგ

ფაქტია, რომ სადღესასწაულო წვეულებებსა და მხიარულ საღამოებს ბახუსი მოსდევს, რის დაძლევაშიც ლონდონში ერთ-ერთი ტაქსი — Kab-U-To Work დაგეხმარებათ. ეს მომსახურება საშობაოდ ჩინურმა რესტორანმა Kabuto Noodles აამოქმედა, რომელიც კლიენტებს ცხელ წვნიანს, ფორთოხლის ახალგამოწურულ წვენს, მზის სათვალეს, პარაცეტამოლსა და მენთოლიან კანფეტებს სთავაზობს. თავად მძღოლი კი შეეცდება,სასიამოვნო ატმოსფერო შექმნას ავტომობილში, მგზავრს სამსახურში მისვლამდე მშვიდ მუსიკას ჩაურთავს და მარშრუტსაც ისეთს შეარჩევს, რომ საცობებმა დისკომფორტი არ შეუქმნას. ვისაც ტაქსის მომსახურება სურს, წვეულებაზე წასვლამდე შეუძლია ადგილი წინასწარ დაჯავშნოს ელექტრონული ფოსტით ან სოციალური ქსელის მეშვეობით.

2014 — ხის ლურჯი ცხენის წელი

31 იანვარს ახალი წელი დგება ჩინური კალენდრით და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ამ კალენდარს არ ვიყენებთ, ბევრი მაინც ინტერესდება, რა ცხოველი იქნება ახალი წლის მფარველი ან რას მოგვიტანს.

მაშ ასე: 2014 წელს, შავ წყლის გველს ხის ლურჯი (ზოგი წყაროებით — მწვანე) ცხენი შეცვლის, რომელიც ადამიანებს ცვლილებებს მოუტანს და სათავეს დაუდებს ახალ ეტაპს. საქმე ისაა, რომ აღმოსავლური ტრადიციით, გველი და მისი წინამორბედი დრაკონი „ახლო ნათესავები“ არიან, სწორედ ამიტომ წლევანდელი მოვლენები 2012-ის გაგრძელება იყო; ცხენთან დაკავშირებით კი, აბსოლუტურად განსხვავებული ვითარებაა: ჩინური ტრადიციებით, ცხენი კეთილშობილების, კარგი გემოვნების, გამბედაობის სიმბოლოა, ამიტომ მომავალი წელი ბევრს მისცემს საშუალებას, დასახულ მიზნებს მიაღწიონ, განახორციელონ მასშტაბური პროექტები, აისრულონ დიდი ხნის ოცნებები, მაგრამ კეთილდღეობისთვის ბრძოლა, უდავოდ, მოუწევთ.

2014 წელი წარმატებული იქნება ენერგიული, საქმიანი ადამიანებისთვის, მათთვის, ვინც დაწყებულ საქმეს არაფრით მიატოვებს, უამრავი წინააღმდეგობის მიუხედავად.

ფინანსების მხრივ, ცხენის წელი არც ისე წარმატებულია: ძნელია, სწორად გადაანაწილოთ თანხა, ფული თითქოს ქვიშასავით გაედინება თითებსშუა და, დიდწილად, ეს უკავშირდება ცხენის გავლენას ემოციებზე, რაც გაუაზრებელ ნაბიჯებს იწვევს. ბევრი ადამიანი ვითარებაზე კონტროლს კარგავს და ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდება.

ცხენი კეთილგანწყობილია მოგზაურებისა და ემიგრანტების მიმართ. 2014 წელი ბობოქარი, ვნებიანი რომანების პერიოდი იქნება. თუ გველის წლის გატარება მშვიდ, ოჯახურ ვითარებაში იყო რეკომენდებული, ახალ 2014 წელს მხიარულად უნდა შეხვდეთ. ცხენი სიცოცხლის მოყვარული არსებაა, რომელიც აღმერთებს სივრცეს, ურთიერთბებს, გართობას, მაგრამ, იმავდროულად, ოჯახურ შეკრებებს, ახლობლების კამპანიას, ოჯახურ კერას სცემს პატივს, ამიტომ ეცადეთ, გააერთიანოთ ეს ორი ტენდენცია. დასაოჯახებლებს შეუძლიათ, ახალი წლის ღამეს იქ შეხვდნენ, სადაც მხიარულება და ხალხმრავლობაა, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ არც ზედმეტი ხმაურია მისაღები. ამ კეთილშობილ ცხოველს დიდად არც ფოიერვერკები, აღფრთოვანებული შეძახილი, ნასვამი ხალხის ბებოში მოსწონს.

რა უნდა ჩავიცვათ ცხენის წელს?

ასტროლოგები გვირჩევენ, ნატურალური ქსოვილი ავირჩიოთ. ფერი — ლურჯი, მწვანე, იისფერი, ფირუზისფერი, ნაცრისფერი, აქსესუარებად კი შეგიძლიათ, ამავე ფერის ძვირფასი ქვები გამოიყენოთ — ფირუზი, ტოპაზი, ზურმუხტი, საფირონი... თქვენს ჩაცმულობას წარმოაჩენს და ლურჯი ცხენის კეთილგანწყობასაც დაიმსახურებთ. ნუ ჩაიცმევთ მყვირალა ფერის კოსტიუმებს, არც სინთეტური მასალა გაიკაროთ, რადგან ცხენი უპირატესობას ძვირფას ქსოვილსა და თბილ ფერებს ანიჭებს. ნურც გარეგნობას გადატვირთავთ მაკიაჟით — ისიც ჰარმონიული და ბუნებრივი უნდა იყოს.

რას გვიმზადებს ლურჯი ცხენის წელი

2014 წელი არაერთი საინტერესო მოვლენით იქნება გამორჩეული. პირველ რიგში მათთვის, ვინც საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თავის წარმოჩენას აპირებს. უნდა გახსოვდეთ, რომ ბევრი ადამიანი, გადაჭარბებული თვითშეფასების გამო, ისეთ საქმეს შეეჭიდება, რასაც ვერ გაუმკლავდება.

იანვარი და თებერვლის დასაწყისი გეგმების გადახედვის დროა. ამ პერიოდში ხშირია კონფლიქტი, მოსიყვარულე წყვილებს შორისაც კი. განსხვავებული მსოფლმხედველობა გადაულახავ წინააღმდეგობად ეჩვენებათ და კომპრომისის მიღწევა შეუძლებელია — ეს პერიოდი ნამდვილ გამოცდად იქცევა. სამსახურშიც მეტი სიფრთხილეა საჭირო: ეჭვები, ნაკლები მორიდებულობა ხელს უშლის პროფესული ურთიერთობების დალაგებას.

2014 წელს ბევრი შეეცდება ფანტასტიკური იდეების რეალიზებას, მაგრამ უშედეგოდ, მშობლები განსაკუთრებით აქტიურები უნდა იყვნენ მოზარდების მიმართ.

გაზაფხულზე ემოციები ჭარბობს, რაც ძლიერ პიროვნებებს წაადგებათ კიდეც, მაგრამ სუსტებმა, შესაძლოა, განცდას ვერ გაუძლონ. რთული პერიოდია სამუშაოსთვის, რადგან პირადი თუ საქმიანი ურთიერთობების გამიჯვნა საკმაოდ რთული იქნება, თუმცა რაც უნდა მოხდეს, სიმშვიდე შეინარჩუნეთ.

მაისი და ივნისის დასაწყისი უფრო წარმატებულია — ვარსკვლავების განსაკუთრებულ მფარველობას მოსწავლეები, მეცნიერები და პედაგოგები იგრძნობენ. ივნისის ბოლოს ვითარება შეიცვლება: ეს პერიოდი რთულია რომანტიკული ურთიერთობების მხრივაც — გაღიზიანება და კონფლიქტის ალბათობა იზრდება.

ივლისსა და აგვისტოში ბევრი მუშაობა მოგიწევთ — ეს რთული, მაგრამ ნაყოფიერი თვეებია. თუ მზად ხართ, ბევრი იშრომოთ, წარმატებასაც მიაღწევთ. ამ დროს ის უნდა გააკეთოთ, რაც სწორად მიგაჩნიათ: სინდისთან კომპრომისზე არ წახვიდეთ და ნურც საკუთარ პრინციპებს უღალატებთ.

სექტემბერი მსუბუქი და სასიამოვნო იქნება. ადამიანებს, ვისაც არ ეშინია ტრადიციების დარღვევისა და ექსცენტრულობის, შეუძლიათ, ცხოვრება უფრო საინტერესო გახადონ. ამ პერიოდში სპონტანური, გაუთვლელი ნაბიჯები ყველაზე სწორი აღმოჩნდება და ეს თვე ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს შემოგთავაზებთ.

ოქტომბერში პრობლემებია მოსალოდნელი, რომელიც ერთადერთი გზით — მოთმინებით უნდა გადალახოთ. ხასიათის სიმტკიცე — აი, რა მოგიტანთ ამ რთულ თვეში წარმატებას. სასიყვარულო ურთიერთობებიც ამ დროს არასასიკეთოა.

ნოემბერი დანაკარგის კომპენსირებას მოახდენს — ეს თვე ხშირად გაგახარებთ სასიამოვნო ამბებით. სიცოცხლის სიყვარული და ოპტიმიზმი იმათაც კი დაეტყობა, ვინც მოვლენებს მუქ ფერებში აღიქვამდა. საქმიანი აქტიურობა ცოტა იკლებს, თუმცა ფინანსების მხრივ, თვე წარმატებული იქნება.

დეკემბერი წარუმატებლად ჩაივლის. ისინიც კი, ვინც ადრე კეთილგანწყობლნი იყვნენ, მეტად მკაცრად და აგრესიულად მოიქცევიან. პროფესიული და პირადი კონფლიქტები ჩვეულებრივზე ხშირად იჩენს თავს. ამ დროს საჭიროა, პრობლემების მთავარ მიზეზს მიაგნოთ. განსაკუთრებით რთული პერიოდი იქნება ახალგაზრდებისთვის, ვისაც საკმარისი ცხოვრებისეული გამოცდილება არ გააჩნია.

1. ბავშვთა განვითარების აჩქარება
2. გემის სრული ტვირთ-მზიდაობა
3. მთა თბილისთან
4.ანდაზების მოპოვება, ჩაწერა და გამოცემა
5. ძველ ბერძენთა ორყურა ჭურჭელი
6. კრემიანი ნამცხვარი
7. კათოლიკ-ეთა მღვდელი პოლონეთში
8. ურიელ აკოსტას სატრფო
9. ბიბლიური იაკობის ცოლი
10.უძვ. სახელმ. დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე
11.ფრჩხილის ლაქის მო-საცილებელი სითხე
12. სადღე-სასწაულო ნამცხვარი
13. თხების ჯოგი
14.სპილოს გარეთ გამოშვერილი კბილი
15. (ისტ.) მსუბუქად შეიარაღებუ-ლი ცხენოსანი ჯარისკაცი
16. საძირკვლად დადებული გათლილი ძელი
17. იტალიის საფეხბურთო კლუბი
18. ებრაელთა რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში
19.დაწესებულე-ბა მიზანში სროლის შესასწავლად
20. სასუფრე ყურძნის ჯიში
21. მაუგლის მეგობარი დათვი
22. ტკბილი კარტოფილი
23.ბაზრობით ცნობილი თბილისის გარეუბანი
24. ქოლგო-სანთა ოჯახის მცენარე
25. მდინარე ყაზახეთსა და ჩინეთში
26. ზრდი-ლობიანი დასტური
27. 2014 წლის სიმბოლო
28. ესპანური ფეხბურთის გრანდი
29. ვაზების მწკრივი ვენახში
30. წვეტიანი ყინული ხეებზე
31. დამუხ-ტული ატომი
32. დიდი შეჯიბრება აფრიანი ნავებით
33. შოტლან-დიური ნაგაზი
34. დადებითად დამუხტული ელექტროდი
35. რომის პაპის გვირ-გვინი
36. კეთილშო-ბილი მეომარი
37. უხეში მიტკალი
38. დინამიტის გამომგო-ნებელი
39. იგივეა, რაც სეირინგი
40.ჭადრაკის პარტიის შუა ნაწილი
41. კეთილი საქმე
42. სა-სამართლოს მსაჯული ძვ. რომში
43. მეშჩანური შეხედ-ულებების ადამიანი
44. ვერ-ცხლისწყლის შენადნობი ლითონთან
45. ჯუჯა კამეჩი
46. ხელის საგრილობელი
47. ვალიკო მიზანდარის მეტსახელი
48. კათოლი-კური წირვა
49.ბრინჯის არაყი
50.ძროხის ნაშიერი
51. კოსმეტი-კური ფირმა „...-ფაქტორი“
52.პირენეის მთების უმაღლესი მწვერვალი
53. ვაშლის ღვინო
54. ძვ. ეგვიპტელთა წმინდა ფრინველი
55. ტაივანის დედაქალაქი
56. დიდი კაშკაშა მეტეორი
57. ევრო-კავშირის ვალუტა
58. ფრანგი პოეტი და დრამატურგი
59. ტყავისგან გამოყვანილი ჭურჭელი
60. უუფლებო ადამიანი
61. ავთანდილ ღოღობერიძის მეტსახელი
62. ცეცხლის მნათი ნაწილი
63. აუქ-ციონზე გასაყ-იდი ნივთი
64. მუდამ, ყოველთვის
65.ქართლის მეფე „აბე-სალომ და ეთერში“
66. თაგვის „ბინა“
67. პარტია ჩოგბურთის თამაშში
68. მწერალი ... ფოიხტვან-გერი
69. სახ-ელმწიფო აფრიკაში
70. მსახიობი აიშვარია ...
71. მეფისა და ეტლის ერთო-ბლივი სვლა ჭადრაკში
72. ინგლი-სური სქელი ლუდი
73. გმად-ლობთ - იტალიურად
74. სპორტუ-ლი ნაწარმის ფირმა
75. ალაზნის მარჯვენა შენაკადი
76. დარ-ტანიანის მსახური
77. აბატი მუშკეტერი
78. მსახიობი ... ბესინჯერი
79.ადამია-ნის თავზე დასახურავი, თავსაბურავი
80. სამარ-თლიანობის ქალღმერთი ძვ. ეგვიპტ.
81.ყველაზე დიდი მტაცე-ბელი ვეშაპი
82. აქტუალობადაკარგული, ყბადაღებული ფრაზა ან გამოთქმა
83. ზუთ-ხისებრთა ოჯახის თევზი
84. ქართველ-თა მამული საფრანგეთში

ყველაზე უსარგებლო პროფესიები დაასახელეს

ბრიტანული ანალიტიკური ცენტრის — ჯენ ცონომიცს ოუნდატიონ მკვლევარებმა საზოგადოებისთვის ბევრი პრესტიჟული პროფესიის უსარგებლობა დაამტკიცეს. ეკონომიკურად სასარგებლო პროფესიების მეორე პოლუსზე აღმოჩნდნენ ძიძები, აღმზრდელები და მენაგვეები. სწავლულების კვლევის ობიექტი დღეს არსებული ექვსი პროფესია გახდა, რომელიც ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავდება როგორც ხელფასით, ისე სოციალური სტატუსით. ყველა მათგანი საზოგადოებისთვის სარგებლობის მხრივ შეაფასეს და აღმოჩნდა, რომ პრესტიჟულმა პროფესიებმა ყოველმხრივ წააგო. ბანკირები, რომელთა ხელფასი წელიწადში 500 ათასიდან 80 მილიონ გირვანქა სტერლინგამდეა, საკუთარ ქვეყანას ყოველ გამომუშავებულ გირვანქაზე 7 გირვანქით აზარალებენ; სარეკლამო სააგენტოების მენეჯერებში ამ მხრივ შეფარდება 1-11,5-თან იყო. მკვლევარები ზარალში გულისხმობდნენ არა ფულის დაკარგვას, არამედ ზედმეტ ხარჯს, რაც საზოგადოებამ გაიღო.

შედარებით მოკრძალებული ხელფასების მქონე პროფესიების წარმომადგენლები კი ხაზინას საკმაოდ ასარგებლებენ. ძიძები და აღმზრდელები, იღებენ რა საკუთარ თავზე ბავშვების მოვლას, მათ მშობლებს მუშაობის საშუალებას აძლევენ. თანაც, მათ მიერ აღებულ ყოველ გირვანქას 9,43-გირვანქიანი მოგება მოაქვს. ყველაზე მეტი სარგებელი კი ნაგვის გადამამუშავებლებისგანაა — მათთვის ერთ გადახდილ გირვანქას, თურმე, 12 გირვანქა მოგება მოაქვს.

ჰოროსკოპი 2014 წელი

ვერძი — 2014 წელს წარმატების ადვილად მიღწევის იმედი არ უნდა გქონდეთ — ეს მძიმე სამუშაოსა და შეცდომების გამოსწორების პერიოდია. საკუთარი საქციელის გასაანალიზებლად დიდი დრო დაგჭირდებათ, მაგრამ გამოტანილი დასკვნები არც ისე სასიამოვნო იქნება. 2014 წელს გეგმების განსახორციელებლად ენერგია საკმარისი გექნებათ. როგორც უნდა განვითარდეს მოვლენები, ხელი არ ჩაიქნიოთ და არ დანებდეთ — ადრე თუ გვიან, წარმატებას მაინც მიაღწევთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გაისად თქვენთვის პოზიტიური ემოციების ძირითადი წყარო იქნება. პრობლემების გადაჭრისას არ უნდა აჩქარდეთ — სჯობს, ვითარებაში კარგად გაერკვეთ. 2014 წელი კარგი პერიოდია რომანტიკული ურთიერთობების დასაწყებად.

კურო — საურპრიზებით სავსე წელი გელით. ვითარება ძალიან სწრაფად იცვლება და გადაწყვეტილების მიღებაც სპონტანურად გიწევთ. შექმნილი ვითარება მოქნილობასა და დიპლომატიას გასწავლით — რაც სწრაფად მიხვდებით, რომ დათმობა აუცილებელია, მის მაღე მიაღწევთ წარმატებას. 2014 არც ისე კარგი წელია შემოქმედებითი ჩანაფიქრის რეალიზებისთვის. მთლიანობაში, წარუმატებელი წელი არ იქნება — მარტოხელა კუროებს „ერთი ნახვით შეეკარების“ შანსი აქვთ.

ტაკვერი — მომავალი წელი უამრავ ცვლილებას მოიტანს. მოვლენები სწრაფად ვითარდება, რაც საშუალებას გაძლევთ, ნაწილ სრულად გამოამჟღავნოთ, თუმცა გაქვთ შიში, რომ წარმატება ზურგს შეგაქცევთ. კარგი იქნება, თუ ზაფხულში მოგზაურობას დაგეგმავთ და გარემოს შეიცვლით. სასიყვარულო ურთიერთობები წარუმატებელი მხოლოდ იმიტომ იქნება, რომ სერიოზული ცვლილებები შეგაშინებთ — 2014 წელი გამოცდის პერიოდი იქნება ბევრი წყვილისთვის.

კირჩხიბი — ეს არა მხოლოდ საკუთარ თავზე მუშაობის პერიოდია, არამედ ხელიერი ტრავმების მოშუშებისაც. გაანალიზებთ იმ მოვლენებს, რამაც შარშან ტკივილი მოგაყენა და სხვა თვალით შეხედავთ ვითარებას — მიხვდებით, რომ მომხდარი არ ღირდა განცდად. მხოლოდ საკუთარი ძალების იმედად სართ და აქედან გამომდინარე, ერთი წარმატება მეორეს შეცვლის. პირად ურთიერთობებში ეს წელი გარდამტეხი იქნება — შეხვდებით ადამიანს, რომელთანაც თავს კომფორტულად იგრძნობთ და მიხვდებით, რომ სერიოზული ურთიერთობისთვის მზად სართ.

ლომი — 2014 წელი წარმატებული იქნება — უპრობლემოდ შეძლებთ გეგმების რეალიზებას, თანაც, შედეგი ბევრად გადააჭარბებს მოლოდინს. მსუბუქი სექტორის პერიოდია და კარგი იქნება, თუ ამ დროს, გარშემომყოფების ინტერესებსაც გათვალისწინებთ. გახსოვდეთ, გაისად ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი უნარ-ჩვევების ათვისებაა. წელი კარგია საკუთარი ბიზნესის წამოსაწყებად, ან არსებულის გასაფართოებლად. შეიძლება იფიქროთ, რომ პირადი ცხოვრება ამ პერიოდში მეორე პლანზე გადავა, მაგრამ ასე არ არის — ლომებს ძალა და ენერგია უყალოფერზე ჰეოფნით.

ქალწული — მომავალი წლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გარშემომყოფებთან სტაბილური ურთიერთობების ჩამოყალიბებაა — უარი უნდა თქვათ ჩვეულ პრინციპებზე. ამ პერიოდში შეცდომებს თავს ვერ აარიდებთ, მაგრამ თავისუფლად შეძლებთ, მთ გამოსწორებას. 2014 წლის კიდევ ერთი განსაკუთრებულობა ისაა, რომ ცხოვრებას კარდინალურად შეცვლით — შეგიძლიათ, ნებისმიერი გზა აირჩიოთ, მაგრამ გახსოვდეთ: საკუთარი სულიერი სამყაროს თავდაჯერა დაეენებთ, ვერც ძველ პრობლემებს გადაჭრით და ახალსაც დაიმატებთ. რაც შეეხება სასიყვარულო ურთიერთობებს — 2014 ნამდვილად თქვენი წელია.

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

სასწორი — წელი მნიშვნელოვან ცვლილებებს არ გპირდებათ, მაგრამ მიმართულებას მაგანიშნებთ — საით წავა თქვენი ცხოვრება. სასწორებს ეშინათ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების და ურჩევინიათ, სხვის გაკვალულს მიეყვნენ. ამაში ცუდი არაფერია, მთავარია, არჩევანი სწორი იოს. უნდა გაითვალისწინოთ, რომ 2014 წელს ჩვეულებრივზე მეტად ექცევით გავლენის ქვეშ, სამუშაოს პრესტიჟულობა უფრო მნიშვნელოვანი ხდება, გგონათ, რომ გარშემომყოფებთან ურთიერთობის დარეგულირებასაც ადვილად შეძლებთ, მაგრამ ასე არ არის — რეალობა ბევრად რთულია.

ღრიანცელი — ნიშნის წარმომადგენლებს 2014 წელი ბევრ სიურპრიზს უმზადებს. მათ უმრავლესობას „დუმასხურებელი წარმატების“ შეგრძნებაც გაუჩნდება და ეჭვიც, რომ ეს წარმატება ხანგრძლივი და სტაბილური არ იქნება. ახალი სამეფლეების დამეგვიანებს სიფრთხილე გამოიჩინეთ — მოკავშირეებად არა მხოლოდ სიამედო, არამედ ალალი ადამიანები გეჭირდებათ. წელს არ მოგიწევთ ტანჯვა ცალმხრივი სიყვარულით — აუცილებლად გამოჩნდება თქვენს ცხოვრებაში ადამიანი, რომელთანაც ნიღბის მორგება არ დაგჭირდებათ.

მშვილდოსანი — რაც უნდა მოხდეს, არ აღელდეთ — 2014 წელს ბევრი უკიდურესობა იქნება, რაც არასტაბილურობის განცდას გაგიჩენთ, მაგრამ თქვენს მებრძოლ ხასიათს ეს ვერ შეაშინებს. უბრალოდ, განეწყვეთ იმისთვის, რომ წარმატებისთვის ბრძოლაა საჭირო მათთანაც კი, ვისაც აქამდე მოკავშირეებად მიიჩნევდით. წლის დასაწყისი, პროფესიული თვალსაზრისით, სასიკეთოა, მაგრამ შემდეგ თვეებში, სჯობს, ფინანსურ საკითხებში სიფრთხილე გამოიჩინოთ. ახალი წელი პირად ცხოვრებაში ცვლილებებს გიქადით, მიზნის მისაღწევად მხოლოდ გზა და ფორმა უნდა აირჩიოთ, სასიყვარულო ურთიერთობებში კი ლიდერის როლის მორგება მოგიწევთ.

თხის რქა — 2014 წელს ახალი არაფერი მოაქვს, მაგრამ საშუალებას იძლევა, ადრე დასახულ ტენდენციებს მიეყვეთ. გსურთ, წარსულს თავი დააღწიოთ და ბევრი რამ შეცვალოთ, არ ღირს რადიკალური ნაბიჯების გადადგმა. ყველაზე ცუდი ისაა, რომ თანმიმდევრულად არ მოქმედებთ, ასე კი არაფერი გამოგა. რომანტიკული ურთიერთობების მხრივ არც ისე მარტივი წელიწადია — ისეთი გადაწყვეტილებების მიღება გიწევთ, რომელთა სისწორეში დარწმუნებული არ ხართ. მხოლოდ ინტუიციას არ უნდა ენდოთ, რადგან დიდია ისეთი ადამიანთან გატაცების ალბათობა, რომელიც მხოლოდ ტკივილს მოგაყენებთ.

მერწყული — ტეუილად არ ელით ახალი წლისგან განსაკუთრებულ მოვლენებს: 2014 ნამდვილად უჩვეულო იქნება — ცვლილებებისთვის უკვე მზად ხართ, ამიტომაც მოვლენებზე სწორად რეაგირებთ. გაკვეთეთ ის, რაც ადვილად გამოგდით, თუ დაბრკოლება შეგხვდებათ, მიზნის მისაღწევად სხვა, უფრო მარტივ გზებს მიმართეთო. წელს ენერგია მნიშვნელოვანი საქმეებისთვის გეჭირდებათ, ამიტომ ნუ დახარჯავთ მას „ქარის წისქვილებთან“ ბრძოლაში. ახალი წელი თქვენს შემოქმედებით პოტენციალს სრულად წარმოაჩენს, გარშემომყოფებს იმ თვისებებით გააოცებთ, რასაც ადრე ვერავინ ამჩნევდა. საქმიან ურთიერთობებში წლის დასაწყისი სერიოზულ პრობლემებს მოგიტანთ, მაგრამ ზაფხულისკენ სასიკეთო პერიოდი დგება და თქვენც თავისუფლად ამოისუნთქებთ. სამაგიეროდ, კარგი წელია რომანტიკული ურთიერთობებისთვის, მაგრამ თუ აჩქარდებით, ხელიდან გაუშვებთ შანსს, ვითარება უკეთესობისკენ შეცვალოთ — ამჯერად, ენდეთ საკუთარ ინტუიციას და არ წაგებთ.

თევზები — გაისად თევზები სიმშვიდის შენარჩუნებას ისწავლიან, იმ შემთხვევაშიც კი, როცა გარშემო „ქარიშხალი“ იქნება. ეს წელი ბევრ გამოცდასა და სირთულეს გიქადით, მაგრამ მზად ხართ, ყველაფერს გაუძლავდეთ. დადგა დრო, დამოუკიდებლად მიიღოთ საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებები, ამ მისიის სხვაზე გადაბარება აღარ გამოგა და ნურც შეეცდებით. ბევრი გაუკეთრობა მოხდება, მაგრამ მთავარია, არ აჩქარდეთ და ყველაფერი მოგვარდება. წლის კიდევ ერთი განსაკუთრებულობა ისაა, რომ თევზები საკუთარ ნაკლსაც ადმოაჩენენ, რომელსაც ადრე ვერ ამჩნევდნენ. წლის პირველი თვე ყველაზე სასიკეთოა — რასაც ხელს მოკიდებთ, ყველაფერი ადვილად გამოგდით. თუნდაც არაფერი მოიმოქმედოთ პირადი ცხოვრების უკეთესობისკენ შესაცვლელად, მაინც მოხდება დადებითი ცვლილებები.

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები.

მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

LB ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ყველგან და ყველასთვის

მიიღეთ ან გააგზავნეთ საერთაშორისო ფულადი
გზავნილები ლიბერთი ბანკში და მიიღეთ საჩუქრები!

* 55 00 | +995 32 255 55 00 | www.libertybank.ge | info@libertybank.ge | skype libertybank.ge